ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 7 ივნისი, 2016 №133 (7059) ფასი: 50 თეთრი

## „საკონსტიტუციო სასამართლო ნაციონალების დაქვემდებარებაშია“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „საია-მაიებმა თავისუფალი მედიის ცნება გააუპატიურეს“



გვ.3

7 ივნისიდან სამკურნალო მცენარეები

ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი




# თამაზ მეჭიაურის პარტიას ლევან ვასაძე დააფინანსებს?!



გვ.7

„უარს არ ვიტყვით, თუკი ჩვენთან ითანამშრომლებს. ეროვნულ საკითხებში ჩვენი ხედვები ემთხვევა და მის ფინანსებს სუნი არ ასდის. ახლოს მყოფი ხედვები გვაქვს და მივესალმები, თუკი თანამშრომლობა შედგება“



## ადა მარშანია: „ვიზალიბერალიზაციის თემას ნაციონალური მოძრაობა სათავისოდ იყენებს“



გვ.2

„ნაციონალური მოძრაობის რიგითმა წევრებმა ახლა მაინც უნდა დატოვონ ეს კრიმინალური დაჯგუფება“

## კახა კუკავა: „დასავლეთმა დაიწყო ივანიშვილის წასვლის მომზადება“



გვ.2

„ვიზალიბერალიზაცია ჩაიშალა“





გვ.4

## ბიზნესსექტორში დასაქმებულთა ზრდა უმეტესწილად გამოწვეულია სოფლის მეურნეობის, მშენებლობის და ტურიზმის სფეროს განვითარებით

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა

## ქართული იდეა



გვ.5

ISSN 1987-9385

## რესპუბლიკელებმა გერმანული მოდელი უკან გაიწვიეს



გვ.3

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# კახა კუკავა: „დასავლეთმა დაიწყო ივანიშვილის წასვლის მომზადება“

## „ვიზალიბერალიზაცია ჩაიშალა“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თავისუფალი საქართველოს ლიდერი, **კახა კუკავა** აფასებს.

***— ბატონო კახა, ხვალიდან წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყება. როგორი გარემოა არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე?***

— გარემო არის იდენტური იმისა, რაც იყო წინა მთავრობების დროს. რომ ვთქვა, რომ ყველაზე უარესი გარემოა, ასე ნამდვილად არ არის. არის იგივე, რასაც სთავაზობდა ოპოზიციას შევარდნაძე და რასაც სთავაზობდა სააკაშვილი. „ქართულ ოცნებას“ ერთი ეს ჰქონდა სალაპარაკო, ჩვენ დროს ძალადობა მაინც არ ხდებაო და ახლა ესეც „გამოასწორეს“.

კორცხელის ინციდენტი, რომელიც დაიგეგმა „ქართული ოცნების“ ლიდერების მიერ, იყო არა შემთხვევითი და გამონაკლისი, არამედ ეს ხორციელდებოდა „ქართული ოცნების“ პირველი პირების დავალებით და აქედან გამომდინარე ის ლოიალობაც, რომელიც ხელისუფლებამ გამოიჩინა ამ პირთა მიმართ, იყო კანონზომიერი.

***— დღეს არ საუბრობენ იმის თაობაზე, რომ დაძაბულობაა და არც 2007 წელს ადარებენ 2016-ს.***

— მინდა ყველას ვუთხრა, რომ ჯერ დარჩენილია 4 თვე და იმ სისტემით და იმ სულისკვეთებით, რითაც ხელისუფლება წარმართავს წინასაარჩევნო გარემოს, ძალიან ცხელი შემოდგომა გველოდება.

***— სერიოზული შენიშვნები ისმის დასავლეთიდან. არ დაუჭერს დასავლეთი მხარს ხელისუფლებას და არ მისცემს უფლებას, რომ იცუღლუტოს?***

— დასავლეთის მოქმედება ჩვენ ვნახეთ წარსულში. შევარდნაძის მიმართაც როგორ განახორციელეს თავისი სტრატეგია და სააკაშვილის მიმართაც, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ არ ახასიათებთ, რომ ერთ წამში გადაწყვიტონ პრობლემა.





***— ანუ?***

— ისინი დიდხანს ამზადებდნენ შევარდნაძის წასვლასაც და სააკაშვილის წასვლასაც. მათ უკვე დაიწყეს ივანიშვილის წასვლის მომზადება, ეს სრულიად აშკარაა. ივანიშვილმა თავისი თავი უკვე მოჭამა. რაც შეეხება იმას, თუ რა ფორმით დაასრულებს ივანიშვილი თავის ხელისუფლებას, ეს დამოკიდებულია თვითონ მასზე.

***— რისკენ მიანიშნებს დასავლეთი ივანიშვილს?***

— ისინი ეუბნებიან ივანიშვილს, რომ თუ ჭკვიანად იქნები, შენ შეგიძლია წააგო არჩევნები და წახვიდე საცხოვრებლად საფრანგეთში, თუ არ იქნები ჭკვიანად, შეიძლება რაიმე უბედური შემთხვევაც დაგემართოს.

***— ელჩის განცხადებაც გაფრთხილება იყო?***

— არამარტო ელჩის განცხადება. მანამდე იყო სახელმწიფო მდივნის თანაშემწის განცხადება რუსთავი 2-თან დაკავშირებით, რომელიც ბევრად უფრო მკაფიოდ და მკაცრად ჟღერდა, თუმცა ელჩის განცხადებაც ძალიან მნიშვნელოვანია.

***— ჩვენი ხელისუფლება ამას შიდა საქმეებში ჩარევად მიიჩნევს და ასეა?***

— ამას ჩვენი ხელისუფლება ვერ მიიჩნევს ჩარევად, რადგან ხელისუფლებას აქვს ასეთი საგარეო კურსი. ამის თქმის უფლება საქართველოში მაქვს მარტო მე და ჩვენს პარტიას, რომ ვთქვათ, რომ ეს არის ჩარევა.

***— ვითომ რატომ?***

— იმიტომ, რომ ჩვენ არ ვუჭერთ მხარს ამ საგარეო კურსს. დღევანდელი ხელისუფლება კი ვერ იტყვის, რომ ეს არის ჩარევა, რადგან თავადვე ამბობენ, რომ ეს არის ნორმალური, რომ შეერთებული შტატები არის მათი სტრატეგიული პარტნიორი. როცა მათ სასარგებლოდ ეროდა, მაშინ ამაზე პრეტენზია არ ჰქონდათ.

***— ამერიკის ჩარევა არ არის ჯანსაღი პროცესი?***

— რა თქმა უნდა, ეს არ არის ჯანსაღი პროცესი. თუმცა უნდა გვესმოდეს, რომ ამ ყველაფერს ყოველთვის მიზეზს აძლევს საქართველოს ხელისუფლება. მე რომ ვიყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი, აშშ-ის მთავრობას არ მივცემდი სათქმელს, რომ საქართველოში არ არის სამართლიანი საარჩევნო გარემო. ჩვენ უნდა გვქონდეს ისეთი საარჩევნო კოდექსი, რომელზეც შეთანხმებული იქნება მთელი პოლიტიკური ოპოზიცია და რომელიც არც ქვეყნის მტერს და არც ქვეყნის მოყვარეს არ მისცემს იმის თქმის საშუალებას, რომ საქართველოში საარჩევნო გარემოს ხარვეზები აქვს.

მე მაქვს ჩემი პროგნოზი და დაბეჭდეთ ასე – ნახავთ, ერთ-ორ თვეში თუ არ გამართლდება. იმ საარჩევნო გარემოს ჩაშლაში „ქართულ ოცნებას“ მოუწევს ძალიან ძვირი პოლიტიკური ფასის გადახდა და ეს ფასი იქნება არჩევნების ლეგიტიმაციის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება.

***— ვიზალიბერალიზაციის შესახებ რას ფიქრობთ?***

— ჩვენ ვამბობდით სამი თვის წინაც, რომ ვიზალიბერალიზაცია არის არარეალური და საქართველო მას ვერ მიიღებს. მაშინ ყველა პარტიას, სამთავრობოსაც და ოპოზიციურსაც, გამართული ჰქონდათ ბალმასკარადი, რას ზეიმობდნენ, თვითონაც არ იცოდნენ და ულოცავდნენ საქართველოს მოსახლეობას, პირველი ივლისიდან უვიზოდ ივლით ევროპაშიო.

***— ამ პროცესში საკმაოდ დიდია რუსეთის როლი და გავლენა. რამდენად არის ასე?***

— რა თქმა უნდა, რუსეთის გავლენა არის დიდი და სწორედ ამიტომაც ჩვენ ვსაუბრობთ, რომ რუსეთის გავლენა ყველაფერზე დიდია – ჩვენს ეკონომიკაზე, ვიზალიბერალიზაციაზე, ტერიტორიულ მთლიანობის აღდგენაზეც, ამიტომ აუცილებელია საქართველომ დაიწყოს პოლიტიკური დიალოგი. თუმცა წლებია, ყველა საპირისპიროს გვიმტკიცებდა. აი, რუსეთის იგნორირების შედეგიც.

***— რუსეთი რომ ოკუპანტია, თქვენ იცავთ და ამართლებთ მას?***

— მე ნამდვილად არ ვიცავ და არ ვიზიარებ რუსეთის პოზიციას! ჩვენ რუსეთს განვიხილავთ როგორც ოკუპანტს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის არის აგრესორი, მაგრამ პოლიტიკა არ არის მხოლოდ ლოზუნგების და ტრანსპარანტების ბეჭდვა. პოლიტიკა არის გამოსავლის ძიება. რუსეთთან კონფრონტაცია არ შედის საქართველოს ინტერესებში.

***— ანუ ვიზალიბერალიზაციის საკითხი ჩაიშლება?***

— უკვე ჩაიშალა. დღეს ეწერა, რომ გერმანია არის წინააღმდეგი და მეტი ვილამ უნდა თქვას უარი? სწორედ გერმანიაა ევროკავშირი. პოლონეთს და ლიტვას აზრს არ ეკითხებიან.

# ადა მარშანია: „ვიზალიბერალიზაციის თემას ნაციონალური მოძრაობა სათავისოდ იყენებს“

## „ნაციონალური მოძრაობის რიგითმა წევრებმა ახლა მაინც უნდა დატოვონ ეს კრიმინალური დაჯგუფება“

მარიამ მჭედლიშვილი

ევროპასთან ვიზალიბერალიზაციის პროცესი შეიძლება შეფერხდეს. ეს შეეხება არა მარტო საქართველოს. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ადა მარშანია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ეს პროცესი გამოწვეულია საგარეო ფაქტორებით და ევროპაში სიტუაციის გართულებით.



**ადა მარშანია:**

— ამ პროცესის შეფერხება და გადადება არ არის კარგი მოვლენა. მოსახლეობა ვიზალიბერალიზაციას ელოდება. თუმცა, პირადად მე ეს არ გამკვირვებია შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე. ვიცით, როგორი არეულობაა უკრაინაში. გარდა ამისა, მძიმე ფონია შექმნილი მთლიანად ევროპაში. იქ დიდი ხანია, დევნილთა კრიზისია. როცა გვითხრეს, რომ ეს ხელს არ შეუშლიდა საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებას, გამიხარდა, თუმცა, გამიკვირდა კიდეც. ახლა, ეტყობა, ევროპაში უფრო კარგად გაიაზრეს არსებული ვითარება.

სამწუხაროდ, გერმანიაში ვითარებას ართულებს აქედან ჩასულების მიერ ჩადენილი დანაშაულები. ეს საკითხი უკვე გერმანიის პარლამენტის განსახილველიც კი გახდა. ვიზალიბერალიზაცია იქნებოდა შეღავათი სტუდენტებისთვის, მივლინებაში წასული პირებისთვის. ეს მოქალაქეების ამ ნაწილს თავიდან აარიდებდა ბიუროკრატიულ დაბრკოლებებს. მოსახლეობის დიდ ნაწილს ჯერ კიდევ არ გააჩნია ზუსტი ინფორმაცია ვიზალიბერალიზაციაზე.

***— რას გულისხმობთ?***

— ბევრმა არ იცის, რომ ევროპაში მოხვედრა არ ნიშნავს სამუშაოს შოვნას. ესაა სამთვიანი ვიზა. სამი თვით ევროპაში ცხოვრებაც სერიოზულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. სამწუხაროდ, საზღვრების გახსნით ლეგალურად ვერავინ დასაქმდება. დასაქმების შესახებ შეთანხმებები სხვა სახელმწიფოებთან არ გვაქვს. ამაზე არც ახლანდელ და არც წინა ხელისუფლებებს არ უზრუნიათ. ამიტომ, საჭიროა, რომ ეს მომავლის გეგმა იყოს. ამ ტოტალური უმუშევრობის პირობებში, სანამ სამუშაო ადგილებს ჩვენს ქვეყანაში შევქმნით, ხელი უნდა შევუწყოთ ჩვენი მოქალაქეების ლეგალურად დასაქმებას უცხოეთში.

***— ნაციონალური მოძრაობის აზრით, ვიზალიბერალიზაციას საქართველოს ხელისუფლება აფერხებს. საუბარია რუსთავი 2-ის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე, კორცხელის ინციდენტზე და სხვა.***

— საქართველოს საშინაო მოვლენები არაფერ კავშირში არ არის ვიზალიბერალიზაციასთნ. ნაციონალური მოძრაობა ამ თემას სათავისოდ იყენებს. ეს ორგანიზაცია ყველაფრის ფოკუსირებას ახდენს საკუთარ თავზე. ნაციონალები ისე იქცევიან, თითქოს ყველაფერი მათ ირგვლივ ტრიალებს. მათი ბრალდებები სუბიექტური და ძალიან გაზვიადებულია. ამ კამპანიაში ისინი იყენებენ თავიანთ საინფორმაციო საშუალება რუსთავი 2-ს. რაც ხდება, ეს ხელისუფლების ბრალია.

***— ხელისუფლების ბრალი რატომაა?***

— იმიტომ, რომ ხელისუფლებამ აქცია ნაციონალური მოძრაობა მთავარ ოპოზიციად მაშინ, როცა ესაა თავხედური ძალა და კრიმინალური დაჯგუფება. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. ეს განცხადება დოკუმენტებს ემყარება. ნაცმოძრაობის რიგით წევრებს სააკაშვილი გადამრჩენელი ეგონათ. ახლა მაინც ხომ იციან, რომ ის დამნაშავეა! ადგნენ და ახლა მაინც დატოვონ ეს კრიმინალური დაჯგუფება!

***— ამ დღეებში ნაცმოძრაობის მმართველობის დროინდელი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე მოხსენება წარმოადგინა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამაც. ექნება ამას შემდგომი მსვლელობა?***

— არა მგონია. ამის ნიშნები არ ჩანს. ქალბატონ ბესელიას ასეთი მოხსენება პარლამენტის არჩევიდან ნახევარ წელიწადში, უკიდურეს შემთხვევაში, ერთ წელიწადში უნდა გაეკეთებინა. მას მთელი საქართველო დაეხმარებოდა. რომ მოეთხოვა, ნაცმოძრაობის დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთები მოგვიტანეთო, ყველა იაქტიურებდა. ამას მოჰყვებოდა ამ პარტიის საქმიანობის პოლიტიკური შეფასება პარლამენტის მხრიდან და სამართლებრივი შედეგები, მთავარი დამნაშავეების დასჯა. ეს არ მოხდა.

ახლა ძალიან გვიანაა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა ნაცმოძრაობის დასაცინი გახდა. პარლამენტი რომ სწორად მოქცეულიყო, ახლანდელი სიტუაცია არ გექნებოდა. არც სასამართლო სისტემა იქნებოდა ამ დღეში, არც სხვა სფეროები, არ გვეყოლებოდა ამდენი აღშოთებული და იმ რეჟიმისგან დაზარალებული ადამიანი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „საკონსტიტუციო სასამართლო ნაციონალების დაქვემდებარებაშია“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „საია-მაიებმა თავისუფალი მედიის ცნება გააუპატიურეს“

შორენა მარსაგიშვილი

რა აღიარებითი ჩვენება მისცა ნიკა გვარამიამ, რატომ დააკმაყოფილებს საკონსტიტუციო რუსთავი 2-ის სარჩელს, რაზე უნდა ამოიღონ ხმა არასამთავრობოებმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– როდესაც ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები და მათი მხარდამჭერი ე.წ. დამოუკიდებელი ექსპერტები სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ხარვეზებზე საუბრობენ, მათ რატომღაც არ „ახსენდებათ“ და ისინი თვალს ხუჭავენ იმ გარემოებაზე, რომ სწორედ ამ სისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლი, საკონსტიტუციო სასამართლოს სახით, პრაქტიკულად სწორედ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ საქვეუწყებო დაწესებულებად არის გადაქცეული.

ისე თავდაჯერებულნი არიან ამ სასამართლოს მათდამი ერთგულებაში, რომ აღარ დაგიდევენ თუნდაც მათ ფორმალურ რეპუტაციას და საკუთარ გამონათქვამებს კონტროლს ველარ უწევენ და პირდაპირ ლუსტრირებას ახდენენ.

***– პირდაპირ ლუსტრირებას ახდენენო და ეს რაში გამოიხატება?***

– 2016 წლის 31 მაისს რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გადაცემა „აქცენტებში“ ამ ტელეკომპანიის გენერალურმა დირექტორმა გვარამიამ განაცხადა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს მათ რამდენიმე სარჩელს და სააპელაციო სასამართლო პროცესის დასრულებას ჩქარობს, რათა მას არ დაასწროს საკონსტიტუციო სასამართლომ და არ გააუქმოს ის ნორმები, რომელთა საფუძველზეც ეს დავა მიმდინარეობს.

მან ასევე განაცხადა, რომ 31 მაისს, პრეზიდენტის მიერ დადებული ვეტოს შემდეგ, უკვე საკონსტიტუციო სასამართლოს სათანადო დრო აქვს, რომ მოაწყოს გადაწყვეტილების მიღება ამ საკითხზე (ანუ რუსთავი 2-ის პირველ სარჩელზე, სადაც ითხოვენ მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგების თაობაზე ნორმის გაუქმებას – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი). სინამდვილეში ამით გვარამიამ საკონსტიტუციო სასამართლოს განუსაზღვრა საკმაოდ შეზღუდული დრო.

***– შეზღუდული დრო რატომ დაუწესა?***

– პრეზიდენტის დადებული ვეტოს დაძლევა-არდაძლევის საკითხი ლოგიკურადმ ცხადია, საკმაოდ მოკლე ხანში უნდა გადაწყვეტილიყო. ამის შემდეგ პირდაპირ განაცხადა, რომ რაც არ უნდა მოხდეს, მათ აქვთ სათადარიგო გზაც. საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვაშია რუსთავი 2-ის მეორე სარჩელიც.

ამ სარჩელზე საუბრისას გვარამიამ პრაქტიკულად სკანდალური აღიარება გააკეთა. მან პირდაპირ თქვა, რომ რეტრო აქტიურობის ნორმაც უქმდება.

აქ საუბარია საკონსტიტუციო სასამართლოში რუსთავი 2-ის მეორე სარჩელზე (სარეგისტრაციო №678), სადაც ისინი ითხოვენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს მიენიჭოს უკუძალა წარსულ დროში და ის გახდეს ახლად აღმოჩენილი გარემოება საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში ანუ საკონსტიტუციოს გადაწყვეტილება უნდა გახდეს საერთო სასამართლოების მიერ წარსულში მიღებულ გადაწყვეტილებათა გაუქმების, მათი გადასინჯვის და ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

ამით გვარამიამ თავისდაუნებურად განაცხადა, რომ იცის, რომ მომავალში საკონსტიტუციო სასამართლოში აუცილებლად დაკმაყოფილდება მათი სარჩელი. ეს ალბათ მართლა ასე მოხდება.

***– რატომ გგონიათ ან თქვენ ან გვარამიას, რომ საკონსტიტუციოში რუსთავი 2-ის სარჩელი დაკმაყოფილდება?***

– ეს მისი განცხადებიდანაც ჩანს, გვარამია ამბობს, რომ „იქ რეტრო აქტიურობის ნორმაც უქმდება“ ანუ სწორედ ის ნორმა, რაც ამჟამად არ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებისთვის ძალის მინიჭებას წარსულ დროში.



მოსარჩელე ტელეკომპანია რუსთავი 2-ის (იურიდიული პირის სპეციფიკიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში სასამართლოში წარდგენილი სარჩელის სუბიექტი არის ტელეკომპანია საქართველო) ყველა კონსტიტუციური სარჩელი (675, 678, 679, 681, 720 ,721, 726) განსახილველად დაეწერა საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ კოლეგიას (გამონაკლისი იყო მხოლოდ 719 კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც იმის გამო, რომ გასაჩივრებული იყო „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ნორმა, განიხილა სასამართლოს პლენუმმა). აღნიშნულ სარჩელებში სადავო იყო გამხდარი სხვადასხვა კანონში არსებული, ერთმანეთთან შინაარსობლივ კავშირში არმყოფი სხვადასხვა ნორმა.

ამ სარჩელებს ერთმანეთთან აერთიანებდა მხოლოდ ის, რომ მათი ავტორი წარმოადგენდა ერთსა და იმავე სუბიექტს, რაც მათი განსახილველად ერთი კოლეგიისათვის მიკუთვნების საფუძველი კი არ უნდა გამხდარიყო, არამედ პირიქით, როდესაც ერთი სუბიექტის სარჩელებს ყოველთვის განიხილავს ერთი კოლეგია, ამან შეიძლება გააჩინოს ეჭვები როგორც საქმეთა განაწილების, ასევე საქმის გადაწყვეტის ობიექტურობასთან დაკავშირებით.

ასეთი შემთხვევა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არაერთია. პრაქტიკულად გამოდის, რომ კონკრეტული სუბიექტისთვის „პერსონალური“ კოლეგიაა გამოყოფილი საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელიც მის სარჩელებს იხილავს. ასეთი საქმეები, მართალია, ნაწილდება „შემთხვევით“ მხოლოდ ერთ კოლეგიაზე, თუმცა იქაც, რატომღაც კოლეგიის სამ წევრზე (მომხსენებელი მოსამართლეები არიან ვარძელაშვილი, ერემაძე და კოპალეიშვილი) და მეოთხე წევრს, მერაბ ტურავას, რატომღაც არ ხვდება ასეთი საქმეები.

მოსარჩელე ტელეკომპანია რუსთავი 2-ის და ტელეკომპანია საქართველოს რიგ სარჩელებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ შესაშურად მოკლე ვადაში მოახერხა საქმის განხილვა და შესაბამისი სამართლებრივი შედეგების დაყენება. მაგალითად, 675-ე სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო (სადავო ნორმა შეაჩერა) სარჩელით სასამართლოსთვის მიმართვიდან 6 დღეში. ხოლო 681-ე სარჩელზე იგივე სამართლებრივი შედეგი დააყენა 7 დღეში. მე არ მჯერა, რომ პირველი კოლეგია საკითხის განხილვისას მიუკერძოებელი იქნება.

***– ამის რატომ არ გჯერათ, რაკი სულ ამათ ხვდებათ ეს საქმე განსახილველად?***

– ესეც საკმარისი მიზეზია, მაგრამ არის სხვა მნიშვნელოვანი მომენტიც. ამავე კოლეგიის წევრი კოპალეიშვილი წლების განმავლობაში იყო ნიკა გვარამიას იუსტიციის მინისტრობისას, მისი რეკომენდაციით დანიშნული მოადგილე ჯერ იუსტიციის სამინისტროში, ხოლო შემდეგ განათლების მინისტრობისას ის იყო ერთადერთი მოადგილე, რომელიც იუსტიციის მინისტრობიდან განათლების მინისტრად გადასვლისას თან გადაიყოლა გვარამიამ ისევ მოადგილის პოზიციაზე.

ნიკა გვარამიას პირველი მოადგილე განათლების მინისტრობისას იყო ვარძელაშვილის მეუღლე ანა ჟვანია.

მიუხედავად ამ აშკარა გარემოებებისა, როდესაც აცილების საკითხი დადგა მოპასუხე მხარის პარლამენტის წარმომადგენლის მხრიდან, ამ ორი მოსამართლის მიმართ №675-ე სარჩელზე, ისინი არ იქნენ აცილებული ამ საქმის განხილვას.

ნიკა გვარამიას აღიარება ცხადყოფს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ნაციონალების და მის დაქვემდებარებაშია.

ამ ფონზე ძალიან საინტერესოა საია-მაიების და ე.წ. დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ ატეხილი განგაში. ისინი ცდილობენ ყველას დაუმტკიცონ, რომ თავისუფალი მედია საფრთხეშია. ამ ხალხმა თავისუფალი მედიის ცნება გააუპატიურა, რადგან რუსთავი 2 არ არის თავისუფალი მედია. ის არის ნაციონალების რუპორი.

**კავშირი თქვენს სამყაროსთან უკვე 4.5G ქსელით**

მოხარულები ვართ გაცნობოთ, რომ დღეიდან მაგთიკომმა 4.5G (LTE-Advanced) ქსელით ოპერირება დაიწყო.

პირველად საქართველოში, მხოლოდ მაგთი გთავაზობთ 4.5G ქსელს და უსწრაფეს ინტერნეტს.

მაგთიკომის მომხმარებლები დღეიდან თავად გამოცდიან ინტერნეტის მკვეთრად გაზრდილ სიჩქარეს და ხარისხს.

მაგთიკომი
MAGTICOM

ამას განაპირობებს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორიცაა:

- ამა წლის, 31 მაისს შეძენილი 800 MHz სიხშირეთა სპექტრი, რომლის კომბინაციამ არსებულ 1800 MHz სიხშირულ სპექტრთან (LTE 800 და LTE 1800) მაგთიკომს 4.5G (LTE-Advanced) ქსელის გამართვის შესაძლებლობა მისცა
- ქსელში ასობით ახალი საბაზო სადგურის დამატებით, დღეისათვის საბაზო სადგურების ჯამურმა რაოდენობამ 4493 შეადგინა.

მაგთიკომი ქართულ ბაზარზე, ტრადიციულად, ლიდერობს ინოვაციური უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით, საბაზო სადგურების რაოდენობით, რაც განაპირობებს დაფარვის ვრცელ და ინტენსიურ არეალს, სტაბილურად მაღალ ხარისხს და საიმედო ქსელს.

ამას ემსახურება მაგთიკომის 1000-ზე მეტი ინტელექტუალურ-ადამიანური რესურსი, რომელიც თავის საქმეს მაღალი პროფესიონალიზმით და სიყვარულით თქვენთვის აკეთებს.

# რესპუბლიკელებმა გერმანული მოდელი უკან გაიწვიეს

შორენა მარსაგიშვილი



გერმანული საარჩევნო მოდელი, რომელმაც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ძალიან გააბრაზა, დავის საგანი აღარ არის. რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც ამ მოდელის შემქმნელი იყო, თავისი ნაშრომი უკან გაიწვია, რასაც დამატებით კითხვები მოჰყვა.

საინტერესო და თვალშისაცემია ისიც, რომ გასული წლის დამლევს, ამავე პარტიამ საარჩევნო კოდექსში შესატან სხვა ცვლილებებს დაუჭირა მხარი, რომელსაც ახლა თავად აპროტესტებენ.

გერმანული მოდელის განხილვა კომიტეტზე უკვე დაწყებული იყო და წინა კვირას პროექტი ჩავარდა. იმ განხილვას ნაციონალები არ დასწრებიან. ამან გააჩინა ეჭვები, რომ მათთვისაც არ იყო მისაღები ეს მოდელი და ამიტომაც წავიდნენ შატალოზე.

ისინი ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფენ და ახლა უკვე რესპუბლიკელებთან აქვთ კითხვები. კითხვები მათთან რესპუბლიკელებსაც აქვთ.

რესპუბლიკური პარტია პროექტის გაწვევის მიზეზად ასახელებს იმას, რომ კანონის მხარდაჭერას სჭირდება 76 ხმა. ამ დროს ნაციონალური მოძრაობა იმყოფება ბოიკოტის რეჟიმში, პარტიის წევრები საპარლამენტო სხდომებზე არ ცხადდებიან.

როგორც რესპუბლიკელების ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ის მოუწოდებს ნაციონალურ მოძრაობას, გადაწყვიტონ, რა ულირთ მათ, ანუ ულირთ თუ არა მათ ამ კანონის მხარდაჭერა.

– ჩვენ არ გვინდა, რომ გავიტანოთ და ჩავარდეს. თუკი ნაციონალური მოძრაობა არ არის დარბაზში და თუკი არ გროვდება 76 ხმა, უბრალოდ გატანას და ჩავარდნას და მერე დამუნათებას, რომ აი, თქვენ არ გინდოდათ და ჩვენ გვინდოდა, არავითარი აზრი არ აქვს. ამიტომ, ჩვენ არ გავიტანთ, ასეთ რისკს არ გავწევთ. თუ უნდა ნაციონალურ მოძრაობას ეს კანონი, რომელიც ამბობს, რომ იმდენი ადგილი გექნება ხელისუფლებაში, რამდენსაც იმსახურებ, იდეალურია ეს კანონი ამ თვალსაზრისით, მაშინ მოვლენ, – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში.

ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გოკა გაბაშვილი ამბობს, რომ ისინი გერმანულ მოდელს მხარს უჭერენ. თუმცა კარგად იციან, რომ პარლამენტი მას ვერ მიიღებს.

– კონკრეტულად რესპუბლიკელების მიერ წარმოდგენილ წინადადებასთან გვაქვს შეკითხვები, რაც უნდა გავიაროთ. მაგრამ ყველაფერს ამას ფარავს ის, რომ 76 ხმა, რომელიც საჭიროა საარჩევნო კოდექსის შესაცვლელად, ეს ხმები დღეს არ არსებობს. ეს ძალიან ზუსტად ვიცით და ძალიან ზუსტად გვაქვს დათვლილი. „ქართული ოცნების“ მონაწილეობის გარეშე 76 ხმა ვერ იქნება, – განაცხადა გაბაშვილმა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ბიზნესსექტორში დასაქმებულთა ზრდა უმეტესწილად გამოწვეულია სოფლის მეურნეობის, მშენებლობის და ტურიზმის სფეროს განვითარებით

## ბიზნესსექტორში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა გაიზარდა 5.9%-ით და რაოდენობრივად 577 ათასი ადამიანი შეადგინა

გუშინ, 6 ივნისს, „საქსტატმა“ ახალი მონაცემები გამოაქვეყნა, რომელიც საკმაოდ პოზიტიური და ოპტიმისტურია.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2016 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოში ბიზნესსექტორში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა გაიზარდა 5.9%-ით და რაოდენობრივად 577 ათასი ადამიანი შეადგინა. მიმდინარე წლის პირველ 3 თვეში ბიზნესსექტორმა დამატებით 32.257 ადამიანი დაასაქმა.

სექტორული ანალიზი აჩვენებს, რომ დასაქმების ზრდის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სოფლის მეურნეობის სექტორში დაფიქსირდა. 2016 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში, ამ სექტორში დასაქმებულმა ბიზნესსუბიექტებმა დასაქმების მაჩვენებელი 9,6%-ით გაზარდეს. ამას საფუძვლად უდევს დარგში წარმოების გაფართოება და დარგის გამოშვების ზრდა, რაც თავის მხრივ გარკვეულწილად განპირობებულია მთავრობის მიერ დარგის მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული არაერთი პროგრამით.

● ასევე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა სამშენებლო სექტორში დასაქმებულთა მაჩვენებელში. 2016 წლის პირველ კვარტალში, აღნიშნულ დარგში არსებული ბიზნესსუბიექტების მიერ დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 4,8%-ით, რაც უკავშირდება დარგის მთლიანი მაჩვენებლების გაუმჯობესებას. კერძოდ, 2016 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, დარგის მიერ გამოშვებული პროდუქციის მაჩვენებელი 44%-ით არის გაზრდილი გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, რაც განპირობებულია დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულებით, მათ შორის: ავტომაგისტრალებისა და შიდა გზების, ჰიდროელექტროსადგურების, მრავალფუნქციური დანიშნულების საცხოვრებელი შენობების, სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების, მაგისტრალური კავშირგაბმულობის ხაზების და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეკონსტრუქციით.

● დასაქმების ზრდა დაფიქსირდა ასევე ინდუსტრიულ დარგებში, როგორც დამამუშავებელი, ასევე სამთომომპოვებელი მრეწველობის მიმართულებით, შესაბამისად 3,4% და 4,2%-ით. აღნიშნული ზრდა შეესაბამება დარგის ზოგადი ზრდის მაჩვენებელს. 2016 წლის თებერვალში მხოლოდ სამთომომპოვებელი მრეწველობის სექტორი გაიზარდა 20%-ით, ხოლო მეტალურგიული მრეწველობის ზრდის მაჩვენებელმა 2016 წლის მარტში 40%-ს მიაღწია.

● ასევე დადებითი ტენდენციები შეინიშნება ბიზნესსექტორის პროდუქციის გამოშვების მოცულობის ზრდის მიმართულებით – 2016 წლის პირველ კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15,0%-ით გაიზარდა და 6,5 მილიარდი ლარი შეადგინა.

● გაზრდილია ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა – 2016 წლის პირველ კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15,4%-ით არის გაზრდილი და შეადგენს 12,8 მილიარდ ლარს.

* * *

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები პრემიერ-მინისტრმა გუშინ, 6 ივნისს, მთავრობის სხდომაზე შეაჯამა.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

– დღეს დილით გამოქვეყნდა სტატისტიკის სამსახურის ახალი მონაცემები ბიზნესსექ-



ტორში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის შესახებ. 2016 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, 5,9%-ით არის გაზრდილი კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, რამაც აბსოლუტურ მაჩვენებელში 577.000 ადამიანი შეადგინა. ეს ნიშნავს, რომ პირველ სამ თვეში ბიზნესსექტორმა დამატებით 32.257 ადამიანი დაასაქმა, რაც ძალიან სასიხარულო მონაცემებია.

სექტორული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ ზრდაში დაფიქსირებულია სოფლის მეურნეობის სექტორში, რაც ნამდვილად არის ჩვენი მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის კუთხით. რა თქმა უნდა, ეს გაუმჯობესებული ბიზნესკლიმატის შედეგადაც უნდა აღვიქვათ.

2016 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, სამშენებლო სექტორში დაფიქსირდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა. პირველი კვარტლის მონაცემებით, გამოშვებული პროდუქციის მაჩვენებელი სამშენებლო სექტორში არის გაზრდილი 44%-ით, რაც განპირობებულია დიდი მოცულობების სამუშაოების შესრულებით როგორც სახელმწიფო სექტორში – ავტომაგისტრალები, შიდა გზები, ჰიდროელექტროსადგურები, ასევე, კერძო სექტორში – მრავალფუნქციური დანიშნულების საცხოვრებლების, ოფისების, სასტუმროების, მაგისტრალური კავშირგაბმულობის ხაზების და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეკონსტრუქციით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია გამომდინარე იქიდან, რომ დასაქმების კუთხით, მოგეხსენებათ, ამ სექტორში ზრდის თითოეულ პროცენტს საკმაოდ მაღალი ეფექტი აქვს.

პრემიერის თქმით, ასევე, დადებითი ტენდენციები შეინიშნება მთლიანად ბიზნესსექტორის პროდუქციის გამოშვების მოცულობის ზრდის მიმართულებით. კერძოდ, 2016 წლის პირველ კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 15%-ით არის გაზრდილი ბიზნესსექტორში გამოშვება და 6,5 მილიარდ ლარს შეადგენს, ხოლო 15.4%-ით არის გაზრდილი ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

– ეკონომიკურ ზრდას რაც შეეხება, 2016 წლის აპრილში ეკონომიკური ზრდა იყო 4,3 კვარტლის მონაცემებით – 2,%, ბოლო თვეებში უკვე აღინიშნება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის ძალიან მნიშვნელოვანი აქსელერაცია, რაც ინვესტორთა განწყობის გაუმჯობესებას და მოლოდინების სტაბილიზაციას უკავშირდება. შედეგად, რა თქმა უნდა, იზრდება ინვესტიციები და ერთობლივი მოთხოვნა.

დარგებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი ზრდაში შეიტანა მშენებლობის სექტორმა, აქტივობა მაღალი იყო როგორც სახელმწიფო სუვერენული დაფინანსების მქონე პროექტების კუთხით, ისე კერძოს სექტორის აქტივობის მხრივ. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი ამ დადებით მონაცემებში არის ის, რომ ეკონომიკური აგენტების გაუმჯობესებული განწყობა აღინიშნება ლარის კურსის დასტაბილურებასთან და გამყარებასთან მიმართებაში.

ბანკების მხრიდან უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები არის შემცირებული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სპეკულატიური, აჟიოტაჟური მოთხოვნის წილი უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვაში გამოირიცხა.

ხუთ თვეში საგადასახადო შემოსავლებმა გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 8,3%-ით გადააჭარბა, ასევე, პოზიტიურია ხარჯვის წილი 2016 წლის იანვარ-მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის კუთხით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოგეხსენებათ, პრობლემატური გახლდათ და ფისკალური სტიმულირება წლის დასაწყისში ყოველთვის გვჭირდებოდა ხოლმე. ძალიან კარგია, რომ წელს, პირველ 5 თვეში ამ კუთხით ჩავარდნები ნაკლებია და დადებითი მაჩვენებელია, რომ წლიური გეგმის 37,8% დახარჯულია იანვარ-მაისში.

მან იმედი გამოთქვა, რომ ეს ყოველივე საინვესტიციო გარემოზე პოზიტიურად აისახება.

– მე ვფიქრობ, რომ როგორც შიდა, ისე გარე ინვესტორები დადებითად აღიქვამენ ამ არაერთ პოზიტიურ მონაცემს; მათი მოლოდინები კიდევ უფრო პოზიტიური იქნება და მოიმატებს ინვესტიციები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მით უმეტეს. რომ ჩვენ განვახორციელეთ და პარლამენტმა მიიღო უკვე საგადასახადო ლიბერალიზაციის პაკეტი, რომელიც მომავალი წლის პირველი იანვრიდან კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ეკონომიკურ გარემოს, – დასძინა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

ეკონომიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა, დიმიტრი ქუმსიშვილმა მედიასთან ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების მაჩვენებლებზე ისაუბრა.

**დიმიტრი ქუმსიშვილი:**

– მოკლედ შევეხები ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების მაჩვენებლებს, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უკვე გაახმოვანა.

2016 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოში ბიზნესსექტორში დასაქ-



მებულ ადამიანთა რაოდენობა გაიზარდა 5,9%-ით და რაოდენობრივად 577 ათასი ადამიანი შეადგინა. მიმდინარე წლის პირველ 3 თვეში ბიზნესსექტორმა დამატებით 32.257 ადამიანი დაასაქმა.

ასევე ზრდა არის დაფიქსირებული პრაქტიკულად ყველა მიმართულებით, მათ შორის მნიშვნელოვანია 2016 წლის პირველ კვარტალში ბიზნესსექტორის პროდუქციის გამოშვების მოცულობის ზრდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით – აქ გვაქვს 15,0%-იანი ზრდა და 6,5 მილიარდ ლარს შეადგენს.

ასევე გაზრდილია ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა – 15,4%-ით და შეადგენს 12,8 მილიარდ ლარს.

რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდას, 2016 წლის პირველ 4 თვეში, წინასწარი მონაცემებით, ეკონომიკურმა ზრდამ 2,8% შეადგინა და ჩვენ ველოდებით, რომ ეს ციფრი კიდევ გაიზრდება. 2016 წლის აპრილში ეკონომიკური ზრდა 4,3% იყო.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე წლის 5 თვეში საგადასახადო შემოსავლებმა გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 8.3%-ით გადააჭარბა.

აქვე აღვნიშნავ, რომ წინასწარი მონაცემებით, 2016 წლის იანვარ-მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვამ 3.834,4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 37,8%-ია და 247,4 მლნ ლარით აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

რაც შეეხება ტურიზმის სფეროში ზრდას, ამ თემაზე არაერთხელ გავაკეთეთ განცხადებები და კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ 5 თვის მონაცემებით, საერთაშორისო მოგზაურების ჯამურმა რაოდენობამ 2.119.275 შეადგინა, ზრდა კი +15.3%-ია. ტურისტული ვიზიტების რაოდენობაა 782,814, რაც 18,8%-ით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემზე

* * *

ეკონომიკის საკითხებში ექსპერტ მიხეილ დუნდუას შეფასებით, ბიზნესსექტორში დასაქმების მაჩვენებლების ზრდა, ეროვნული ვალუტის გამყარებაზე დადებითად აისახება.

ექსპერტის განმარტებით, ბიზნესსექტორში დასაქმებულთა მაჩვენებლის ზრდა მიანიშნებს, რომ ეკონომიკა გამოცოცხლების ფაზაშია.

**მიხეილ დუნდუა:**

– ჩვენ ბიზნესსექტორში დასაქმებულთა მაჩვენებლის ზრდა გვაქვს, რაც ნიშნავს, რომ ეკონომიკა გამოცოცხლების აქტიურ ფაზაშია. ჩვენ ლარის სტაბილიზაცია-გამყარება მივიღეთ,



ასევე, სუფთა ექსპორტის და ტურიზმის ზრდა, რაც ბუნებრივია, დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესებაში აისახებოდა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მომდევნო პერიოდში, ტრენდი თუ აღმავალი იქნება, უფრო მეტი ადამიანი დასაქმდება შემდგომ კვარტლებშიც. ეს ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, ლარის კურსზეც დადებითად იმოქმედებს – ლარი იქნება უფრო მყარი, ვიდრე არის დღეს.

ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდაძე აცხადებს, რომ ბიზნესექტორში დასაქმებულთა ზრდა უმეტესწილად გამოწვეულია სოფლის მეურნეობის, მშენებლობის და ტურიზმის სფეროს განვითარებით.

მისი თქმით, სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა ზრდა გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფოს აქვს მიზანმიმართული პოლიტიკა ბიზნესაქტივების ხელშესაწყობად.

**ლევან კალანდაძე:**

– სახელმწიფოს აქვს რიგი ხელშესაწყობი პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს სოფლად წარმოების დაწყებას, არსებული საწარმოს გაფართოებას. ასევე, სოფლის მეურნეობის მრავალწლიანი კულტურების გაშენებას და გაფართოებას. როდესაც ბრუნვა იზრდება, იზრდება დასაქმებულთა რაოდენობაც“, – განაცხადა კალანდაძემ.

მან აქვე აღნიშნა, რომ გაზრდილია ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების ბრუნვა, რაც ასევე განაპირობებს დასაქმებულთა ზრდას.

კალანდაძის შეფასებით, ტურიზმი არის ერთ-ერთი ყველაზე მზარდი მიმართულება სა-



ქართველოში. სწორედ ამიტომ, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, ვიზიტორების რაოდენობის ზრდა ამ მიმართულების ზრდას უწყობს ხელს და უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ შემდგომ წლებში ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა მაღალი ზრდა გვექნება.

მისივე თქმით, ერთ-ერთი მზარდი სფეროა სამშენებლო სექტორი.

– სამშენებლო პროექტების რაოდენობა როგორც სახელმწიფოსგან, ისევე კერძო სექტორიდან დაფინანსებული, ბოლო წლებში იზრდება. ამ თვალსაზრისით მოლოდინები არის მაღალი და მომავალ წლებში, თუ ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობა იქნა, ჩვენ, შეიძლება მივიღოთ საკმაოდ დიდი ზრდა მშენებლობის დარგში, რაც შრომით რესურსებზე მოთხოვნის ზრდას გამოიწვევს, – აღნიშნა კალანდაძემ.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ქართული იდეა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა

№5

„ქართული იდეის“ გვერდი იხილეთ ყოველ სამშაბათს

# ძვირფასო თანამემამულენო!



საქართველოს უახლესი ისტორია ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და ტკივილიანი ფურცელია ჩვენი ერის მატიანეში. საბჭოთა იმპერიისგან დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარმა ქართველობამ და მისმა ეროვნულმა მოძრაობამ დროშად წარიმძღვარა სულმნათი ილიას ამაღორძინებელი იდეოლოგია – **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“**, მაგრამ დღემდე ვერ მივაღწიეთ ჭეშმარიტ თავისუფლებასა და ნამდვილ დამოუკიდებლობას. თავისუფლებისათვის ბრძოლაში არ გვაკლდა სიყვარული, მაგრამ გვაკლდა ერთგულება (რაზეც მეტყველებს ეროვნული მოძრაობის თითქმის ყველა ლიდერის ტრაგიკული აღსასრული), არ გვაკლდა მეგობრობა, მაგრამ გვაკლდა ერთობა, არ გვაკლდა თავდადება, მაგრამ გვაკლდა აღმსარებლობა... მოკლედ, გვაკლდა ყველაზე მთავარი – **ეკლესიური ცნობიერება, ქრისტეში ერთობა.**

ჩვენი უბედურების უმთავრეს მიზეზად დღესაც რჩება ის, რომ **საქართველოს პოლიტიკური ელიტის უმრავლესობა ღვთის ნაცვლად უცხოელ პატრონებზე ამყარებს იმედს. ხელისუფლებაში მყოფი ადამიანებისათვის მისაღები ხდება არა ის, რაც სასარგებლოა საქართველოსთვის, არამედ ის, რასაც საქართველოსათვის „სასარგებლოდ“ უცხოეთში მიიჩნევენ.** არავინ ამბობს, რომ მსოფლიოში რეალურად არსებულ გავლენიან ძალებს ანგარიში არ გავუწიოთ, პირიქით, უნდა გავუწიოთ, ეს ბუნებრივი და აუცილებელიცაა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი პოლიტიკა ავანტიურისტულ ხასიათს შეიძენდა. უბრალოდ, ქართველ პოლიტიკოსთა უდიდეს ნაწილს არ გააჩნია მყარი მსოფლმხედველობა, ეროვნული ღირსების განცდა და მუდამ სხვისი იდეოლოგიური ნასუფრალის შემყურედ რჩება. სანამ ასეთი მიდგომები იარსებებს, ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, არავინ გაუწევს ანგარიშს.

პირველი ოქტომბრის არჩევნების შედეგად პარლამენტში 40 %-ით მოხვედრილი ნაცმოძრაობის დამნაშავე რეჟიმის თუ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტს ამოფარებული ურეიტინგო პარტიების წარმომადგენელთა უმრავლერსობა არ გამოხატავს ქართველი ერის ნება-სურვილსა და ინტერესებს. **ქვეყნის ღირსეული განვითარებისათვის გადაუდებელ ამოცანად გვესახება არჩევნების გზით საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტება ახალი, გაუსვრელი სახეებით – საქმის მცოდნე ეროვნულ-ეკლესიური ცნობიერების მქონე ღირსეული მამულიშვილებით.**

გადაუდებელ ამოცანად გვესახება მედიის გათავისუფლება უზნეო და ანტიქართული თავსმოხვეული პროპაგანდისტული წნეხისაგან.

უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყნის მმართველობის იურისდიქციაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება. ამ მიზნით, უნდა აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან და სასწრაფოდ დაიწყოს უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებები. ეროვნული უსაფრთხოებიდან გამომდინარე საგარეო-პოლიტიკური ვექტორი მკვეთრად არ უნდა გადაიხაროს რომელიმე სამხედრო ბლოკის მიმართულებით. მაგალითისთვის რუსეთის მოსაზღვრე ფინეთიც გამოდგება, რომელიც არ არის გაერთიანებული ნატოს სამხედრო ბლოკში, თუმცა ევროკავშირის და ყველა ევროპული სტრუქტურის წევრია, ინარჩუნებს სტაბილურ ურთიერთობას მეზობელ რუსეთთან და წარმოადგენს ეკონომიკურად წარმატებულ, განვითარებულ ქვეყანას. ასე, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია არ უნდა ვაქციოთ დესტაბილიზაციის კერად, ნატო-რუსეთის დაპირისპირების ახალ პოლიგონად და მეორე სირია-უკრაინად.

კონფლიქტების მოგვარების დარგში მომუშავე კომპეტენტურ და პატიოსან ადამიანებთან ერთად უნდა მოხდეს ოსურ და აფხაზურ საზოგადოებასთან დიალოგის განახლებისა და შერიგების პროცესის წარმართვა. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში რეალიზებული უნდა იყოს სახალხო დიპლომატია, შერეული ოჯახები და რაც მთავარია, საქართველოს ეკლესიისა და ჩვენი (ქართველების, ოსების, აფხაზების და სხვ.) კათოლიკოს-პატრიარქის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის – ილია II-ის დიდი ავტორიტეტი.

პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით ეს იქნება არა ორიენტირებული, არამედ – დაბალანსებული, თვითმყოფადი ქვეყნის თვითმყოფადი პოლიტიკა. ისტორიულად სწორედ ასეთი გამოცდილებაა საქართველოსთვის ყველაზე წარმატებული და გასაზიარებელი: ავთენტური და არა – მკვეთრად გამოხატული დასავლური, აღმოსავლური თუ ჩრდილოური ორიენტაციები; არა – მკვეთრი გადახრა რომელიმე მიმართულებით, არამედ – ბუნებრივად განსაზღვრული გეოპოლიტიკური და გეოკულტურული ხიდის როლის შესრულება; არა – ადაპტირება, არამედ – თვითმყოფადობა; შემეცნება და არა – გადმოღება. სწორედ ასეთი პოლიტიკა შექმნის საუკეთესო პირობებს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული ინტერესების დაცვისათვის, რაც უნდა წარმოადგენდეს ქართული სახელმწიფოებრივი განვითარების უმთავრეს პრიორიტეტს.

სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის წინ საქართველო იყო რეგიონში ერთმანეთთან დაპირისპირებული სახელმწიფოების დელეგაციათა სამშვიდობო ფორმატში შეკრების ადგილი. თბილისის საკონფერენციო დარბაზებში ერთმანეთს ხვდებოდნენ სომხეთისა და თურქეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციები და ჩვენ ერთგვარ გეოპოლიტიკური და გეოკულტურული არბიტრის როლს ვასრულებდით, მაგრამ საგარეო ვექტორის მკვეთრად გადახრამ სწორედ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია დააკარგვინა ჩვენს სახელმწიფოს. ჩვენი ამოცანა გახლავთ ამ ყველაზე მნიშვნელოვანი (რეგიონში გეოპოლიტიკური და გეოკულტურული მშვიდობის ხიდის) ფუნქცია დავუბრუნოთ ჩვენს ქვეყანას.

საქართველოს სახელწიფოებრივი წინსვლა დამოკიდებულია ქვეყნის იდეოლოგიისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის სწორ განსაზღვრასა და შემუშავებაზე. ცივილიზებული მსოფლიოს თვალში არაფერი ისე არ აამაღლებს ქართველი ერის ღირსებას, როგორც აწმყოში კეთილგონივრულად გაცოცხლებული წარსული.

უაღრესად მშვიდობიანი და ჰუმანური იდეოლოგიით ქვეყნის მართვა ნიშნავს იმას, რომ მთელი ჩვენი ყოფა გამსჭვალული და გამდიდრებული იქნება მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიციებით, რაც ხელს შეუწყობს ოჯახის (სახელმწიფოს ქვაკუთხედის) აღორძინებას, მრავალშვილიანობას, ერის გამრავლებას, სიყვარულითა და პატივისცემით მოპყრობას ნებისმიერი ეთნო-რელიგიური კუთვნილების მქონე ადამიანის – როგორც მოყვასის, მიმართ.

არსებობს ფასეულობები, რომელთაც ადამიანის უფლებებზე დაბლა ვერ დავაყენებთ, ესენია: ღმერთი, სამშობლო, ოჯახი, ზნეობა, ღირსება, სიწმინდეები. როდესაც ეს ფასეულობები და ფსევდოლიბერალური გაგებით ადამიანის უფლებათა განხორციელება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის, სახელმწიფო, საზოგადოება და კანონი მათ ჰარმონიულ თანაფარდობას უნდა უზრუნველჰყოფდეს. ამ კუთხით, მზად ვართ ვითანამშრომლოთ კეთილი განზრახვის მქონე ნებისმიერ უფლებადამცველთან.

დასასრულ, თუ გვსურს, რომ ჩვენი სახელმწიფო იყოს რეალურად დამოუკიდებელი, თავისი მიწა-წყლის პატრონი და გამგებელი, გავერთიანდეთ სამშობლოს საკეთილდღეოდ და გულისხმავჰყოთ ჩვენი სულიერი მამის, კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოწოდება: **„საქართველო კვლავაც აუცილებლად გადარჩება და გაბრწყინდება, მაგრამ ამას განახორციელებს ის თაობა, რომელიც იქნება ღვთის მცნების დამცველი და მისი ნების აღმასრულებელი, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. მაშ, გავხდეთ უფლის ნების აღმასრულებელნი და დიდი საქართველოს თანაშემოქმედნი“.**

**ლევან ჩაჩუა,**
„ქართული იდეის“ თავმჯდომარე

# საქართველომ უნდა დაიბრუნოს საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული მშვიდობისმყოფელის როლი რეგიონში

უცნაურ მდგომარეობაში ვართ დღეს ქართველები. საუკუნეების წინ ჩვენი წინაპრებისთვის თავშესაფრად მიჩნეული ქვეყანა, რომელთან ერთადაც გვიბრძოლია, ქვეყანა გვიშენებია, მისი სახელმწიფოებრივი თუ სამხედრო ძლიერებისათვის გვიღვაწია, სიცოცხლე შეგვიწირავს, დღეს ჩვენი ქვეყნის ოკუპანტია. ქართლის გული, მაჩაბლების უძველესი სამოსახლო, ადგილი, სადაც ქართლ-კახეთის ყიზილბაშთა ულლისაგან განმათავისუფლებელი წმინდა ელიზბარ, შალვა და ბიძინას სათაყვანებელი წმინდა ნაწილები ასვენია, ჩვენთვის დღეს მიუწვდომელია და ეს მიდამოები მავანთ უცხო ქვეყნად გამოუცხადებიათ. აფხაზეთი, ურდოთა შემოსევების დროს ქართველ მეფეთა თავშესაფარი, დღეს გაუცხოებულა და საზღვრით გაყოფილა და იქით და აქეთ მდგომ ერთი გვარის წარმომადგენლებსაც კი ერთმანეთთან საერთო ენა ველარ უპოვნია. რა გზით შეიძლება ვუშველოთ ამ მდგომარეობას? გზა რომელსაც დღეს ადგას ჩვენი სახელმწიფო, ეს არის ევროატლანტიკური ორიენტაცია, ნატოში გაწევრიანებისკენ სწრაფვა, რადიკალურად განსაზღვრული დასავლური კურსი. რაოდენ მიმზიდველიც არ უნდა იყოს ეს გზა, რეალურად ეს არის ვასალური დამოკიდებულება, რომელიც ქვეყანას ამყოფებს უცხო ქვეყნის მიმართ კანონშემოქმედებით, ეკონომიურ, სამხედრო-სტრატეგიულ, ზნეობრივ-იდეოლოგიურ დაქვემდებარებაში, ხშირ შემთხვევაში ქვეყნის ინტერესების საზიანოდ. რამდენად რეალურია ეს გზა საქართველოს გამთლიანებისათვის?

თუ გადავავალებთ თვალს დასავლელი პარტნიორების განცხადებებს იმის შესახებ, რომ ოდესმე შეიძლება მივიღოთ მაპი, შეიძლება გვქონდეს იმედი ნატოში გაწევრიანებისა, ოღონდ გაურკვეველ და შორეულ მომავალში და ამის პარალელურად გაისმის მოთხოვნა ოკუპანტ რუსეთთან თავად მოვაწესრიგოთ ურთიერთობა, რუსეთის მთავრობა კი აჟღერებს, რომ ქართულმა მხარემ თავად უნდა მოაგვაროს ურთიერთობა აფხაზურ და ოსურ მხარეებთან, დავინახავთ რომ ეს მოწოდებები მოწოდებებად რჩება. ხოლო რეალურად კი ვხედავთ მხოლოდ ადამიანური ურთიერთობების აღდგენის ცალკეულ ფაქტებს. ფართომაშტაბიანი სახელმწიფო პოლიტიკა კი ჰორიზონტზეც კი არ ჩანს, პირიქით, აქა-იქ გაისმის ზოგიერთი პოლიტიკოსის განცხადება, რომ უნდა შევეგუოთ ნატოში დაკარგული ტერიტორიების გარეშე გაწევრიანებას.

შეძლებს, ნატო ჩვენს გამთლიანებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ ოკუპირებული ტერიტორიებით მიგვიღებს?

ჩვენს წინაა წლების განმავლობაში ნატოს წევრ ქვეყნებს შორის მოუგვარებელი ტერიტორიული პრობლემები: თურქეთსა და საბერძნეთს შორის კვლავ გაყოფილია კუნძული კვიპროსი, რუსეთს კვლავაც მიტაცებული აქვს ნატოს დომინანტი ქვეყნის გერმანიის ტერიტორია კენინგსბერგი (კალინინგრადი), ასე რომ მხოლოდ ნატოს წევრობა არ არის ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის გარანტია, მითუმეტეს, რომ წევრობის პერსპექტივაც დღემდე ბურუსითაა მოცული.

როგორი იქნრბოდა ქვეყნის სწორი სტრატეგია ამ მიმართულებით?

საქართველომ უნდა გაიცნობიეროს მის ირგვლივ არსებული რეალობა. მან უნდა დაიბრუნოს საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული მშვიდობისმყოფელის როლი რეგიონში. ჯერ კიდევ სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის წინ თბილისში იმართებოდა სამშვიდობო ფორმატში შეხვედრები აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის, სომხებსა და თურქებს, რუსებსა და აზერბაიჯანელებს შორის და საქართველო ამ შეხვედრებში ერთგვარი გეოპოლიტიკური და გეოკულტურული არბიტრის როლს ასრულებდა. სამწუხაროდ, საგარეო ვექტორის რადიკალურად დასავლეთისკენ გადახრამ ეს მთავარი ფუნქცია დაუკარგა ჩვენს სახელმწიფოს და შერიგების ადგილის ნაცვლად, დღეს ჩვენი ქვეყანა ნატო-რუსეთის დაპირისპირების პოლიგონად შეიძლება იქცეს - ღმერთმა დაგვიფაროს...

ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ გერმანიის კეთილგონივრული და მიზანმიმართული პოლიტიკის მაგალითით, რომელსაც საბჭოთა რუსეთმა ჯერ წითელი არმია შეუსია გასაძარცვად, (ფაბრიკა-ქარხნები აყარეს და რუსეთში ეშელონებით ჩაიტანეს) შემდეგ ბერლინის კედლით ქვეყანა ორ ნაწილად გაჰყვეს და არათუ კენინგსბერგის (საქართველოს ხელა ტერიტორიის) მხოლოდ ანექსია მოახდინეს, არამედ იქედან გერმანელები აყარეს და შუაგულ გერმანიაში გადაასახლეს... მაგრამ გერმანია ოკუპანტი, ოკუპანტის ძახილით კი არ შემოიფარგლა: კეთილგონივრული პოლიტიკა აწარმოა, ნაბიჯ-ნაბიჯ ჯერ ქვეყნის დეოკუპაცია მოახდინა, შემდეგ ბერლინის კედელიც მოხსნა და დასავლეთთან გართულებული ურთიერთობის მიუხედავად რუსეთის ყველაზე სტრატეგიულ პარტნიორს წარმოადგენს ევროპაში.

ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია ბოლშევიკური განწყობილებები, რომ ერთი ქვეყანა მტერია, მეორე მეგობარი; ერთი ძალიან ცუდია, მეორე ძალიან კარგი. ასეთი დამოკიდებულება არათუ სახელმწიფოთა შორის, არამედ ადამიანების მიმართაც კი მიუღებელია, ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველომ უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიწყოს რუსეთთან დიალოგი, პარალელურად გააძლიეროს სახელმწიფოს შიდა დაცვის სისტემა და განახორციელოს საკუთარი საზღვრების მკაცრად გაკონტროლება. საჭიროა დაიწყოს ფართომაშტაბიანი დიპლომატიური მოქმედება როგორც შიდა, ასევე გარე პრობლემების მოსაგვარებლად. ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა მოსახლეობამ უნდა იზრუნოს, რათა ზნეობრივი და პასუხისმგებლობის მქონე მამულიშვილები მოიყვანოს ხელისუფლებაში და არა დასავლეთის, თუ ჩრდილოეთის წინაშე ანგარიშვალდებული მარიონეტები.

თეა პაიჭაძე

# მეანაბრეობით დაზარალებულთა და მცირე მეწარმეობის აღდგენა-განვითარების ერთიანი კომპლექსური რეფორმების მეგაპროექტი

საქართველოში 2006 წლიდან გაუქმებული მცირე მეწარმეობის აღდგენა–განვითარებისა და სახელმწიფოს მიზეზით დაზარალებულთა ზარალის ანაზღაურება–კომპენსაციის უმწვავესი პრობლემების წარმატებით მოგვარება შესაძლებელია ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტის, აკადემიკოს ლეო ჩიქავას მიერ მოწონებული, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ანზორ საკანდელიძის მიერ დამუშავებულ-დაპატენტებული (საქპატენტის მოწმობა N6333) სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომით - ”საქართველოს ანტიკრიზისული 5-წლიანი კომპლექსური ეკონომიკური რეფორმების კონცეფცია-პროგრამა”

ამ პროგრამის მიხედვით მთელ საქართველოში დაიწყება ”კონცეფცია–პროგრამის” რეალური განხორციელებისათვის აუცილებელი საქმიანობა: ადგილებზე რეალურად აღწერენ მცირე მეწარმეებსა და სახელმწიფოს მიზეზით დაზარალებულებს, გააცნობენ მათ ”კონცეფცია–პროგრამის” ძირითად არსს, დაზარალებულებისაგან მიიღებენ ზარალის დამადასტურებელი იურიდიული საბუთების ნოტარიალურად დამოწმებულ ქსეროასლებს, მოახდენენ ოფისებში გამოცხადებული დაზარალებულების ზარალის აღრიცხვას, ინდექსაციას, ინვენტარიზაციას, გაგზავნას ფინანსთა სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროდან ზარალის შესაბამისი სახელობითი საკომპენსაციო საგადასახადო თამასუქების მიღებას, მიღებული სახელობითი თამასუქების დარიგებას დაზარალებულებისათვის, სახელობითი საგადასახადო თამასუქების მფლობელებისათვის კონსულტაციების გაწევას, როგორ უნდა მიიღონ მაქსიმალური მოგებები თავიანთი თამასუქების გაყიდვით, ან ახალი მცირე სამრეწველო საწარმოების დაარსებით ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად.

**ანზორ საკანდელიძე**
ტექნ. მეცნ. დოქტორი

## გილოცავთ ჩვენო გატანჯულო იპოთეკით დაზარალებულებო!

**„ქართული იდეისა“ და „სახელმწიფოსგან დაზარალებულთა სოლიდარობის“ თავდაუზოგავი ბრძოლის, პროკურატურასა და სასამართლოში ასობით შეტანილი სარჩელის შემდეგ ჩვენს იპოთეკით დაზარალეულებს პოლიცია ღია ცის ქვეშ ველარ გამოასახლებს...**

**ახლა, ბოლომდეა მისაყვანი „ქონების მართვის სახელმწიფო სააგენტო“-ს შექმნის შესახებ ჩვენი კანონპროექტის გატანაც...**

# ქართული იდეა

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა**


## სასმელი წყლის ინდუსტრია – საქართველოს ღირსეული განვითარებისათვის

მსოფლიოს ყველა განვითარებულმა ქვეყანამ ეკონომიკურ კეთილდღეობას საკუთარი ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებით მიაღწია. საქართველოს არეალში ირიცხება **450**-მდე საბადო, მაგრამ ამ წიაღისეულების მოპოვებას სჭირდება ხანგრძლივი პერიოდი და დიდი თანხები, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამით ქვეყნის ბუნებას გამოუსწორებელი ეკოლოგიური ზიანი მიადგება.

ამრიგად, სწრაფი ეკონომიკური განვითარების მიზნით ქართველი მეცნიერების მიერ შეირჩა ადამიანისთვის სასიცოცხლო დანიშნულების მქონე მსოფლიო დონის რესურსი - მიწისქვეშა სასმელი წყალი, რომლის სახელმწიფო მარაგების სარესურსო ფონდის ფასების ინდექსი შეადგე **2 ტრილიონ 277,4 მილიარდ აშშ დოლარს,** რაც დანარჩენი სასარგებლო წაღისეულის ჯამურ ღირებულებას ბევრად აღემატება. საქართველოში წყლის ინდუსტრიის განვითარების პრიორიტეტულობას ასევე განსაზღვრავს მსოფლიოში კატასტროფულად მზარდი მოთხოვნილება სასმელ წყალზე და ჩვენი მიწისქვეშა მარაგების დიდი **რაოდენობა, მაღალი ხარისხი, განახლებადობა, კვლავ წარმოება, სიიაფე, ჩადებული კაოპიტალის უკუგდების ხანმოკლე პეიორდი და კონკურენტუნარიანობა.**



გაეროს მონაცემებით 2012 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა კატასტროფულად შემცირდა. **ყოველწლიურად ათობით მილიონი ადამიანი და 2,4 მილიონი ბავშვი იღუპება უწყლობით ან უხარისხო წყლისგან შეძენილი სხვადასხვა დაავადებებით.**

საერთშორისო ორგანიზაციების **დეკლარაციებით 2015 წლისთვის 4 მილიარდი** ადამიანი უკვე აღმოჩნდა სასმელი წყლით სარგებლობის უმწვავესი დეფიციტის პირობებში, **ნაცვლად გაეროს მიერ ნავარაუდევი 2025 წლისა.** მსოფლიოში არსებული ქალაქების უმრავლესობა სასმელად მხოლოდ დაფასოებულ წყალს იყენებს და ასეთი მიდგომა მთელ დედამიწაზე ვრცელდება. წყლის მსოფლიო დეფიციტის ამ პირობებში ჩვენმა მეცნიერებმა, აკადემიკოს პაატა გიორგაძის ხელმძღვანელობით, მიაგნეს კონკტრეტულ გზას, თუ როგორ ავუაროთ გვერდი ბაზარზე არსებულ მონოპოლისტებს (ფრანგულ და იტალიურ კონგლომერატს, რომლებიც პლანეტის მოსახლეობის ყოველწლიურ მოთხოვნას, **მხოლოდ 45 დღით უზრუნველყოფენ)** და როგორ გავიდეთ საერთაშორისო ბაზარზე. ეს გეგმა შეთანხმებულია საეთაშორისო საფინანსო ჯგუფებთან და ჩვენს სტრატეგიულ ინვესტორებთან. მათ დაწვრილებით შეისწავლეს ჩვენი მეცნიერების მიერ შემუშავებული კონცეფცია - პროგრამა, ჩაატარეს არსებული მარაგების ფუნდამენტური კვლევები და ხელისუფლების პოლიტიკური კეთილი ნების გამოხატვის შემთხვევაში მზად არიან 3 მილიარდი დოლარის წინასწარ ინვესტირებისთვის, რითიც უნდა გაიზარდოს საქართველოს ტვირთბრუნვის გამტარუნარიანობა და **ყველა მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო მარაგებზე არსებულ ჭაბურღილებზე **აშენდეს წყლის ჩამოსასხმელ-დამფასოებელი ორი ქარხანა.** ეს საშუალებას მოგვცემს **ადგილზე დასაქმდეს ათი ათასობით ჩვენი თანამოქალაქე საშუალო ხელფასით 1200 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარებში**. რაც მთავარია, **ინვესტორი არ არის დაინტერესებული ჩვენი წიაღისეულის ხელში ჩაგდებით,** მისთვის საკმარისია პორტამდე მივაწოდოთ ბოთლში ჩამოსხმული მზა პროდუქტი და იგი ერთ ლიტრში გადაიხდის **წყლის საერთაშორისო საბითუმო ღირებულებას - 24 აშშ ცენტს.**

საწყის ეტაპზე ეს მოახდენს წელიწადში **12 მილიარდი** დოლარის (ბიუჯეტში 3 მილიარდის) მობილიზებას.

ინდუსტრიის აშენებისა და პროდუქციის პირველი პარტიის გატანისთანავე, კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენებით, მოხდება საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების (აქციები, ვექსილები, ობლიგაციები) მატერიალიზება და მსოფლიო ფინანსურ რესურსებში ჩარევა. ეს მოგვცემს **570 მილიარდი აშშ დოლარის გრძელვადიანი დაბალ პროცენტიანი კრედიტის ეტაპობრივი მოზიდვის საშუალებას.** თუმცა დარგობრივი ეკონომიკის (სოფლის და სატყეო მეურნეობა, მსუბუქი და გადამამუშავებელი მრეწველობა, ენერგეტიკა და სხ.) განვითარებისათვის ამხელა თანცხა საჭირო არ არის. **სამკარისია 84 მილიარდი აშშ დოლარის მოზიდვა.** რაც ჩვენი ეკონომიკური აღმავლობის დასაწყისის და სახელმწიფოებრივი (რეალური) დამოუკიდებლობის აუცილებელი წინაპირობაა.

გვინდა გაცნობოთ, რომ საზოგადოების გამოჩენილი წარმომადგენელების მიერ უკვე დაფუძნდა სააქციო საზოგადოება- ,,საქართველოს სასმელი წყლის ინდუსტრია“, რომლის **თითო აქცია ეტაპობრივად და უფასოდ დაგირიგდებათ** საქართველოს ყველა მოქალაქეს. **ინდუსტრიის ამუშავებისთანავე 1 აქციის ნომინალური ღირებულება იქნება 50 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი.** ამისათვის კი საჭიროა ამ უნიკალური შესაძლებლობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, **რათა არ დავუშვათ რომ ქართველი ერის კუთვნილი ეს საერთო სახალხო სიმდიდრე ხელში ჩაიგდონ კერძო დაინტერესებულმა პირებმა**. სამწუხაროდ, ამის ტენდენციას ავლენდა და ავლენს ძველიც და ახალი ხელისუფლებაც. **ძვირფასო თანამოქალაქენო! საქართველო არ არის ღარიბი ქვეყანა. საქართველო მსოფლიოში ერთერთი ყველაზე დიდი სიმდიდრის მფლობელი ქვეყანაა**, რაც ღვთის უდიდესი **წყალობაა,** ოღონდ საჭიროა ამ რესურსის რაციონალურად გამოყენება.

ერთად ვიზრუნოთ ღვთისაგან ნაწყალობევი ამ სიმდიდრის რაციონალურად გამოსაყენებლად და **საქართველოს ღირსეული განვითარებისათვის!**



* * *

„თუკი უფლის წყალობით საქართველოს მოსახლეობა ნელნელა გააცნობიერებს ღვთივკურთხეული სახელმწიფო მოწყობის უპირატესობას და მოისურვებს ქვეყანაში სახალხო მონარქიის დამყარებას, აუცილებელია ტახტზე ავიდეს სწორედ ბაგრატიონთა წარმომადგენელი, რომელთაგან დღეისათვის (მემკვიდრეობის თვალსაზრისით) ყველაზე წინ დგას ჩვენი ნეოფიტე უფლისწული – გიორგი ბაგრატიონი.“

ლევან ჩაჩუა



„არც მეფეს, არც პრეზიდენტს, არც პატრიარქს და არც არავის აქვს უფლება, ქართული მიწა გაყიდოს“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე


**რედაქციის წევრები**: თეა პაიჭაძე, ინგა გავაშელი, მაია ფეიქრიშვილი.

ქართული იდეა ტელ.: 224-41-40


## ფოტომატიანე




3 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საპატიმროები დავტოვეთ...
სამწუხაროდ, კვლავაც აქტუალური რჩება სამართლიანობის აღდგენისათვის ბრძოლა, მაგრამ ვპირდებით ჩვენი ქვეყნის გარდამაქცევლებს, რომ არასოდეს დავიღლებით ამ ბრძოლაში!..



კაზანტიპის გარყვნილების წინააღმდეგ მსვლელობა



17 მაისი. ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე



ID ბარათების ალტერნატიული პირადობის მოწმობის მოთხოვნის აქციაზე



„ქართული იდეა“ მჭიდროდ თანამშრომლობს გამოჩენილ მეცნიერებთან



აქცია ბათუმში, აჭარის ოსმალთაგან გამანთავისუფლებელი მამულიშვილების მემორიალის დადგმის მოთხოვნით

შორენა მარსაგიშვილი

# თამაზ მეჭიაურის პარტიას ლევან ვასაძე დააფინანსებს?!

**პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ თამაზ მეჭიაურმა თავისი პარტია დააფუძნა. პარტიის წევრების ვინაობა და სახელი საზოგადოებას გუშინ, 6 ივნისს გაუმხილა.**

გამომდინარე იქიდან, რომ თამაზ მეჭიაური ბიძინა ივანიშვილის კურსელია, ყველა ვარაუდობდა, რომ ეს ნაპრემიერალის სატელიტი პარტია იქნებოდა. ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ ამ პარტიაში ის დეპუტატები გაწევრიანდებოდნენ, რომლებიც „ქართული ოცნების“ ახალ საარჩევნო სიაში ვერ მოხვდნენ.

ეს დეპუტატები მეჭიაურთან მოლაპარაკებებს მართლაც აწარმოებდნენ. რამდენიმე მათგანმა, მათ შორის ომარ ნიშნიანიძემ, ღიად თქვა, რომ ახალ პარტიაში შევიდოდნენ. თუმცა პარტიის პრეზენტაციაზე არც ერთი მათგანი არ ყოფილა. სამაგიეროდ, იქ იყო დეპუტატი ნანა ყეინიშვილი. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ის ახალი პარტიის სიის პირველ ათეულში იქნება.

პარტიის პრეზენტაციაზე მეჭიაურმა აღნიშნა, რომ მას სიის პირველი ათეული უკვე შედგენილი აქვს. გამოუსწორებელმა ოპტიმისტებმა ისიც ივარაუდეს, რომ მეჭიაურის პარტიის სიის პირველი ნომერი ირაკლი ღარიბაშვილი იქნებოდა.

მეჭიაურის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან მომავალი თანაპარტიელების გასაიდუმლოება ბოლომდე მოახერხა. ერთადერთი, ვისზეც ინფორმაციამ გამოჟონა, სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე სანდრო ბრეგაძე იყო. მან თავად უთხრა ჟურნალისტებს, რომ ახალ პარტიაში შესვლაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა.

ახალ პარტიას, რომლის პრეზენტაციაც პარლამენტში გაიმართა, ასეთი სახელი აქვს „თამაზ მეჭიაური – ერთიანი საქართველოსთვის“.

სანდრო ბრეგაძის გარდა, მეჭიაურის ახალი პარტიის სახეები არიან კომპოზიტორი ჯემალ სეფიაშვილი, ლალი მოროშკინა, ბუტა რობაქიძის დედა ია მეტრეველი, „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი დავით ფაცაცია.

ახალი პარტია, მისი დამფუძნებლის განცხადებით, არც ჩრდილოეთისკენ იქნება გადახრილი და არც დასავლეთისკენ. მათ მთავარ საზრუნავს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა წარმოადგენს.

– ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შევიტანე განაცხადი და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას მივიღებთ შემდეგი სახელწოდებით: თამაზ მეჭიაური – ერთიანი საქართველოსთვის. პარტიის მთავარი პრინციპი იქნება ის, რომ ჩვენ დამოკიდებული არ ვიქნებით გარედან რომელიმე ქვეყნის ჩარევაზე– არც დასავლეთიდან, არც ჩრდილოეთიდან. ჩვენი ყოველი ნაბიჯი იქნება მიმართული საქართველოს მთავარი ინტერესისკენ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ. ასევე, სამართლიანობისკენ, იმ ტრადიციების შენარჩუნებისკენ, რომელიც დღემდეა მოტანილი, – განაცხადა მეჭიაურმა.

მისივე თქმით, ამ მიზნების მისაღწევად პარტია მზადაა ყველა ქვეყანასთან, მათ შორის რუსეთთან ითანამშრომლოს.

ბუნებრივია, პარტიას სჭირდება ფინანსებიც. პარტიის თავმჯდომარე ამბობს, რომ

ორგანიზაციას ადგილობრივი ბიზნესი დააფინანსებს:

– თანდათან რეგიონების მიხედვით გამოვაცხადებთ ხელმძღვანელებს. საქართველოში არიან არცთუ ისე ღარიბი პიროვნებები, ზოგი თავის რეგიონს მოუვლის, ზოგი დაგვეხმარება, საქართველოში მცხოვრებ ბიზნესმენებზე ვსაუბრობ. წინასწარ არ მინდა დასახელება. უკვე რამდენიმე ოფისი შემოგვთავაზეს. კიდევ მოლაპარაკებები გვაქვს მეგობარ პარტიებთან, რომლებიც გვთავაზობენ, რომ კოორდინირებულად ვიმუშაოთ და ჩავატაროთ არჩევნები. საარჩევნო ბლოკზე არ არის საუბარი, – განაცხადა მეჭიაურმა.

პარტიის ერთ-ერთ დამფინანსებლად, ბიძინა ივანიშვილის გარდა, ლევან ვასაძეც მოიაზრებოდა. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ვასაძე და მეჭიაური რამდენჯერმე გამოჩნდნენ ერთად.

მეჭიაური ახლა უკვე ღიად ამბობს, რომ მან ლევან ვასაძეს თანამშრომლობა და მისი გუნდის წევრობა შესთავაზა.

– უარს არ ვიტყვით, თუკი ჩვენთან ითანამშრომლებს. ეროვნულ საკითხებში ჩვენი ხედვები ემთხვევა და მის ფინანსებს სუნი არ ასდის. ახლოს მყოფი ხედვები გვაქვს და მივესალმები, თუკი თანამშრომლობა შედგება, – აცხადებს ახალი პარტიის თავმჯდომარე.

მისი პარტია რიგ საკითხებში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი იქნება და მათთან დაპირისპირების სურვილი არ აქვთ. თუმცა, არის საკითხები, სადაც ისინი ხელისუფლებას ოპონირებას გაუწევენ. ყველაზე მწვავე მიმართულება, ქვეყნის საგარეო კურსი და სამართლიანობის აღდგენა იქნება.

– ხელისუფლებამ არ აღადგინა სამართლიანობა, სამართლიანობა ძალიან უმნიშვნელოდ აღდგა. ეს დესტაბილიზაციის საფრთხეა, რომელსაც შეიძლება საშემოდგომო არჩევნების დროს ადგილი ჰქონდეს. ბევრ ადამიანს გაუმწარა სიცოცხლე წინა ხელისუფლებამ და დაუსჯელად დადიან ასეთი ადამიანები. როდესაც მსხვერპლი დამნაშავეს სადმე გადაეყრება, გამორიცხული არ არის, ისეთ ინციდენტს ჰქონდეს ადგილი, რაც კორცხელში მოხდა, – აღნიშნავს მეჭიაური.



ახალი პარტიის შემქმნელი მეჭიაური პირმშოს მომავალს საკმაოდ ოპტიმისტურად უყურებს. იცის, რომ პირველ ადგილს ვერ დაიკავებს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მათ გარეშე მომავალ პარლამენტში ვერანაირი საკითხი ვერ გავა.

– ჩვენი მიზანი არ არის გამარჯვება. ჩვენ ახლად შექმნილი პარტია ვართ და შეიძლება ვერ მოვახერხოთ იმდენი ხმის აღება, რამდენიც ამ [პარტიის] იდეას უჭერს მხარს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მომდევნო პარლამენტში ისე ვიქნებით წარმოდგენილი, რომ ჩვენს გარეშე გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებენ, – განაცხადა დეპუტატმა.

ოპტიმისტურად არის განწყობილი ლალი მოროშკინაც. არადა ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მან საქართველო დატოვა. ის მართლაც იმყოფებოდა მოსკოვში. რამდენიმე შეხვედრაც გამართა. იქიდან დაიბარა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების აღდგენაზე ვიმუშავებო.

მოსკოვის ნაცვლად ის ახლა მეჭიაურის პარტიაშია და ქალების უფლებების დაცვაზე აპირებს მუშაობას. მას სჯერა, რომ პარტია არჩევნებზე მეორე ადგილზე გავა.

– არასოდეს არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, მაგრამ მე დავინახე საფრთხე იმისა, რომ შეიძლება საქართველომ 9 ოქტომბერს გაიღვიძოს და ომის სუნი ეცეს. არ მინდა, ქვეყანაში კვლავ ბარიკადები დავინახო. ვხედავ, ყველაფერი იქით მიდის, რომ საქართველო მაიდანს დაემსგავსოს. მე ვფიქრობ, რომ სიტუაციის არევა უნდა როგორც „ნაციონალურ მოძრაობას“, ისე მის სატელიტ პარტიებს, ვინაიდან ფიქრობენ, რომ „ქართული ოცნება“ იმ ხმებს ვერ აიღებს და უნდათ პროვოკაციები მოაწყონ. ჩვენ შემოვდივართ ძალიან დიდი, ძლიერი გუნდით და შესაბამისად ვფიქრობ, რომ მინიმუმ მეორე ადგილზე გასვლას შევძლებთ და ძლიერი ოპოზიცია ვიქნებით, – განაცხადა ლალი მოროშკინამ.

თამაზ მეჭიაურის ახალ პარტიას რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი გამოეხმაურა და ფაქტიურად დაწყევლა ისინი.

– მე ვფიქრობ, ბატონ მეჭიაურს დასჭირდება არჩევნებზე გასვლა იმისთვის, რომ გაიგოს, რა ღირს პოლიტიკური ფიგურა. თუ ის აიღებს 1%-ზე მეტს, ე.ი. ამ პარტიის შექმნას ექნება აზრი, – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

* * *

ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მეჭიაურის პარტიამ შესაძლოა პატრიოტთა ალიანსთან, მრეწველებთან და ბურჯანაძესთან ითანამშრომლოს.

# „ირაკლი დოკვაძე პოლიტპატიმარია“

გულიკო ბალაძე

უფლებადამცველი გიორგი თევზაძე მთავარ პროკურატურას ირაკლი დოკვაძის საქმის ხელახალი გამოძიების დაჩქარებისკენ მოუწოდებს. დოკვაძის საქმესთან დაკავშირებით თევზაძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**გიორგი თევზაძე:**

– ირაკლი დოკვაძე, რომელიც არასამართლიანი სამართალწარმოების შედეგად ფაქტობრივად, უკანონო პატიმრობაში იმყოფება. ამიტომაც ფართო საზოგადოების სამართლიან აღშფოთებას იწვევს და ბევრ პასუხგაუცემელ კითხვებს ტოვებს. ირაკლი დოკვაძის საქმიანობა ყოველთვის ეფუძნებოდა ეროვნული ღირებულებების დაცვას და ეს საქმიანობა ჯერ კიდევ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან მომდინარეობს.

***– თქვენი ინფორმაციით, ახლანდელი პატიმრობა რამენაირად უკავშირდება ძველს?***

– რასაკვირველია. ჯერ ერთი, მაშინდელი ბრალდების გამო, ირაკლი დოკვაძე რეაბილიტირებული იყო, მაგრამ არც ბრალდებამ და არც სასამართლომ არ გაითვალისწინა. ის პოლიტიკური შეხედულებების გამო იყო მსჯავრდებული. 1992 წლის 4 სექტემბერს დააპატიმრეს და გაასამართლეს.

ირაკლი დოკვაძე ყოფილი სიკვდილმისჯილია. ორწელიწადნახევარი იჯდა სიკვდილმისჯილთა საკანში. რეპრესიის მანქანას ვერ გადაურჩნენ მისი ოჯახის წევრებიც, მათ შორის, მშობლები. ამის გამო 1992 წლიდან 1994 წლის პერიოდში იგი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძოდ, „ამნესტი ინტერნეიშენელის“, „ჰიუმან რაითს ვოტჩის“, „ჰელსინკი ვოტჩისა“ და სხვა საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ ერთხმად აღიარებული იქნა პოლიტპატიმრად, რაც დაფიქსირებულია მათ ოფიციალურ გამოცემებში. ირაკლი დოკვაძეს არასოდეს უღიარებია ის ბრალდება, რომელიც მას წაუყენეს.



შემდგომში ირაკლი დოკვაძის სასჯელის ზომა – სიკვდილით დასჯა ჯერ შეიცვალა 20-წლიანი პატიმრობით, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, იგი 2002 წელს გათავისუფლდა სასჯელისაგან. 2004 წლის 9 თებერვალს დიდმა პალატამ, ცხრა მოსამართლის შემადგენლობით, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ირაკლი დოკვაძის უდანაშაულოდ აღიარების თაობაზე.

***– მიგაჩნიათ, რომ სიკვდილმისჯილი პოლიტიკური პატიმარყოფილი და ახლანდელი პატიმარი ირაკლი დოკვაძე, რომელმაც სიკვდილს თავი დააღწია, დღეს კვლავ იდევნება?***

– მოგეხსენებათ, 2009 წელს ირაკლი დოკვაძეს ბრალად დასდეს ორი პირის განზრახ დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობა. ის 2009 წლის 26 აპრილიდან სასჯელს იხდის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი ბრალდებით.

***– დაუსაბუთებელ ბრალდებაში თქვენ რას გულისხმობთ?***

– მაშინდელი პროკურატურის ბრალდებით, თითქოსდა ირაკლი დოკვაძე შეეცადა ორი პირის მოკვლას. აღნიშნული სს საქმის ძიება თავიდან ბოლომდე სუბიექტურად და ტენდენციურად წარიმართა. როგორც მისი ადვოკატი აცხადებს, მიუხედავად დაცვის მხარის მრავალი მცდელობისა, სასამართლომ არ შეისწავლა უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც უტყუარად ადასტურებდა მის უდანაშაულობას.

***– კერძოდ?***

– სასამართლომ მიზანმიმართულად არ გამოიკვლია იმ ვიდეოთვალის მიერ უწყვეტ რეჟიმში განხორციელებული ის ჩანაწერი, რომელიც სადარბაზოს შესასვლელში არის დამონტაჟებული და რომლითაც დადგინდებოდა, რომ ირაკლი დოკვაძე შემთხვევის დროს დანაშაულის ადგილზე არ იმყოფებოდა.

სასამართლომ უარი თქვა დნმ-ის ალტერნატიულ ექსპერტიზაზე და სასამართლოს მხრიდან შეგნებულად დაშვებული იქნა არაერთი სხვა უკანონობა. ამ უკანონობების ფონზე, ირაკლი დოკვაძე სასამართლომ ცნო დამნაშავედ და სასჯელის ზომად დაადგინა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა. მის მიმართ ბრალდების საქმეში გამოკვეთილად იკითხება წინა ხელისუფლების მხრიდან ირაკლი დოკვაძის პოლიტიკური დევნის ინტერესი.

ძალიან მნიშვნელოვანია ერთი გარემოებაც – ორი დაზარალებულიდან ერთ-ერთი აცხადებდა და აცხადებს, რომ ირაკლი დოკვაძე ამ დანაშაულთან კავშირში არ არის, ანუ ირაკლი დოკვაძეს მისთვის არ დაურტყამს. ეს სასამართლოზეც ითქვა, მაგრამ სასამართლომ რეაგირება არ მოახდინა.

***– როგორც ვიცი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ირაკლი დოკვაძე შიმშილობდა. ის მოინახულეს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ და სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა. შედეგი რა არის?***

– ჩემთვის გაურკვეველი რჩება ის ვითარება, რომელიც ამჟამად შექმნილია ირაკლი დოკვაძის უკანონო მსჯავრდების საქმეზე. წინა ხელისუფლების მიერ უკანონოდ გასამართლებული პიროვნება დღესაც, ამ ხელისუფლების მმართველობის პირობებშიც, უკანონო პატიმრად რომ რჩება.

***– ამჟამად ირაკლი დოკვაძე უკანონო პატიმარია, მაგრამ პოლიტპატიმრის სტატუსი აღარ აქვს?***

– დიახ, რაც ქვეყნის იმიჯზე დადებითად ნამდვილად არ იმოქმედებს. ფაქტობრივად, ირაკლი დოკვაძე განიცდის წამებას. ასევე გაურკვეველია, ვის მიერ ან რა საფუძვლით იქნა ამოღებული ის პოლიტპატიმართა სიიდან, რომელიც პარლამენტმა 2012 წლის დეკემბერში პოლიტპატიმრებად ცნო და ამინისტიის კანონით გაათავისუფლა.

ირაკლი დოკვაძის საქმის გადასინჯვა და მისი სულ მცირე უკანონოდ მსჯავრდებულ პირად აღიარება შედის მოქმედი ხელისუფლების პირდაპირ ვალდებულებებში. ეს იქნება ტესტი იმ დაპირებების შესრულების საქმეში, რომელიც საზოგადოებამ მიიღო მოქმედი ხელისუფლებისაგან სამართლიანობის აღდგენის დაპირების სახით.

## შესწორება

„ახალი თაობის“ 4-5 ივნისის ნომერში გაიპარა უზუსტობა. მასალაში „თამაზ ჭილაძის 85 წლის იუბილე ზუგდიდში აღინიშნა“ აღნიშნულია, რომ თამაზ ჭილაძე ღონისძიებას მეუღლესთან თინა ჭილაძესთან ერთად დაესწრო. თინა ჭილაძე არის თამაზ ჭილაძის და. ამ უზუსტობისთვის ბოდიშს ვიხდით.

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ირანი ამერიკელთა ბრალდებებს უარყოფს



ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროტესტი გამოთქვა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის უკანასკნელი განცხადების გამო, სადაც ირანი ტერორიზმის დაფინანსებაში დაადანაშაულეს.

— სინამდვილეში ტერორიზმის სპონსორი აშშ-ს მოკავშირე საუდის არაბეთია, — ნათქვამია ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

# ტერაქტები ავღანეთში



ავღანეთის დედაქალაქში უცნობმა პირებმა პარლამენტის დეპუტატის მანქანა ააფეთქეს. შედეგად თავად დეპუტატი დაიღუპა. აფეთქებამ შეიწირა ქუჩაში რამდენიმე გამვლელიც.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა არავის აუღია.

კიდევ ერთი ტერაქტი პატარა ქალაქ პოტი ასამში მოხდა. აქ ტერორისტები ადგილობრივ მოსამართლეს თავს დაესხნენ და მოკლეს. მოსამართლის ორი თანმხლები პირი დაჭრილია.

ამ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა მოძრაობა თალიბანმა აიღო.

# სროლა ყაზახეთში



ყაზახეთის ქალაქ აქტობეში (ყოფილი ოქტიუბინსკი) უცნობი შეიარაღებული პირები იარაღის მაღაზიას დაესხნენ. ატეხილი სროლის შედეგად მოკლულია ერთი გამყიდველი, მეორე კი დაიჭრა. თავდამსხმელებმა საკმაო ოდენობით იარაღი ჩაიგდეს და ამის შემდეგ უკვე ქალაქში განთავსებულ სამხედრო ნაწილს დაესხნენ თავს.

სროლის შედეგად მოკლულია ყაზახეთის არმიის ერთი ოფიცერი და ერთი ჯარისკაცი, ცხრა სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. დაიღუპნენ ქუჩაში გამვლელებიც. სულ აქტობეში მომხდარი სროლის შედეგად მოკლულია 6, დაჭრილია 10 ადამიანი.

— ოთხი თავდამსხმელი დაკავებულია, სამი სროლისას მოკლეს. დანარჩენებმა გაქცევა შეძლეს, — იტყობინება ყაზახეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

თავდამსხმელები ერთ-ერთი ექსტრემისტული ისლამური ორგანიზაციის წევრები იყვნენ.

# თურქი ნაციონალისტები გერმანელი მწვანეების ლიდერს მოკვლით ემუქრებიან




ბუნდესტაგის მიერ სომხების გენოციდის აღიარებამ თურქების აღშფოთება გამოიწვია. როგორც ცნობილია, ოფიციალურმა ანკარამ გერმანიიდან თავისი ელჩი გამოიწვია, თურქი ნაციონალისტები კი გერმანელი მწვანეების ლიდერ ოზდემირის მოკვლით იმუქრებიან.

სომხების გენოციდის აღიარება სწორედ ოზდემირის ინიციატივით მოხდა.

აღსანიშნავია, რომ ოზდემირი წარმოშობით თურქია. თავის ისტორიულ სამშობლოში მას მოღალატეს უწოდებენ.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

**ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური**



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთიერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**

# „რუსეთში ხანგრძლივი შფოთი დაიწყება“

## იაკუტელი შამანი რუსეთის მომავლის შესახებ

ცნობილი იაკუტელი შამანი სავა ვასილიევი 2013 წელს გარდაიცვალა. მან ჯერ კიდევ 2012 წელს იწინასწარმეტყველა, რომ ყირიმი რუსეთს შეუერთდება.

— უკრაინაში მოხდება რევოლუცია, ხელისუფლებაში პატრიოტები მოვლენ, რუსეთი კი ყირიმს შემოიერთებს, — ამბობდა ვასილევი.

ამავე დროს შამანი ამტკიცებდა, რომ ყირიმის შემო-



ერთება რუსეთს ბედნიერებას არ მოუტანს. ქვეყანა მოექცევა იზოლაციაში, უამრავ შიდა თუ გარე კონფლიქტში.

— მას დაუწესებენ სანქციებს, რაც ეკონომიურად ძალზე დაასუსტებს, — აცხადებდა ვასილიევი და ამატებდა, რომ ყოველივე რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიან ომში გადაიზრდება.

— ამერიკის პრეზიდენტი თავდაპირველად უკრაინელებს იარაღს არ მისცემს, თუმცა მოვა ახალი პრეზიდენტი, რომელიც უკრაინას შეაიარაღებს. 2017 წელს რუსეთ-უკრაინას შორის დიდი ომი დაიწყება. მასში ბევრი ქვეყანა ჩაერევა. უამრავი მსხვერპლი იქნება, — აცხადებდა შამანი.

ვასილიევის აზრით, ამ ომში რუსეთი დამარცხდება. ის იძულებული გახდება, დატოვოს როგორც ყირიმი, ასევე აფხაზეთი, დნესტრისპირეთი, სამხრეთ ოსეთი, მთიანი ყარაბახი. პოსტსაბჭოთა სივრცეზე ძალთა განლაგება ძირეულად შეიცვლება. შეიცვლება თავად რუსეთის ფედერაციაც.

— რუსეთის ფედერაციაში ხანგრძლივი შფოთი დაიწყება, — ამტკიცებდა შამანი.

*მოამზადა ნიკა თევზაძე*

**განცხადებები**

**იყიდება**

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# ბრიტანული გუნდები ჯგუფში წყვილად მოხვდნენ

ვაგრძელებთ გუნდების წარდგენას ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც საფრანგეთის 10 ქალაქი უმასპინძლებს.

## ჯგუფი ბ

### ინგლისი



ასოციაცია დაარსდა 1863 წელს. მეტსახელი: სამი ლომი

საუკეთესო ბომბარდირი უეინ რუნია (51), რომელიც გოლების რაოდენობის გაზრდას საფრანგეთშიც შეეცდება.

სარეკორდო მატჩების რაოდენობა მეკარე პიტერ შილტონს (125) აქვს ჩატარებული, მოქმედებიდან – რუნის (109).

ინგლისი ერთადერთი ევროპული ნაკრებია, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატი აქვს მოგებული და ევროპის – არა. საუკეთესო შედეგია ნახევარფინალი, რომელსაც ორჯერ მიაღწია – 1968 და 1996 წლებში. წელსაც მათგან მეტს ელიან – ინგლისელებმა ხომ ჯგუფში 10-ვე მატჩი მოიგეს.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისელებს ყველაზე მეტი უიღბლობა პენალტების სერიიდან ახსოვს.

დიდ საფეხბურთო ფორუმებზე ინგლისელთა სტატისტიკა სხვა სახეს მიიღებდა, პენალტების სერია რომ არ ყოფილიყო. ინგლისელებმა პირველად 1990 წელს დათმეს პენალტების სერია გერმანელებთან, ხოლო იმის შემდეგ კიდევ 3 ევროპისა და 2 მსოფლიოს ჩემპიონატი დატოვეს იმავე წესის გამო. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 27 მატჩი აქვს გამართული და 9-9 მოგება, წაგება და ფრე აქვს. ბურთების შეფარდება – 36:31.

1980 წლიდან, 1992 წლამდე, როდესაც ფინალურ ეტაპზე 8-8 გუნდი გადიოდა, ინგლისის ნაკრები ჯგუფიდანაც ვერ გავიდა, ხოლო 1984 წელს საერთოდ ვერ მოხვდა ფინალურ ეტაპზე. 1996 წელს კი, გუნდების რაოდენობა 16-მდე გაიზარდა, გუნდმა უკეთესი შედეგების ჩვენება დაიწყო, თუ არ ჩავთვლით 2008 წლის ევროპის ჩემპიონატს, როდესაც საკვალიფიკაციო ეტაპი ჩააგდო და საერთოდ ვერ მოხვდა ევროპის უძლიერეს გუნდებთან.

**დასამახსოვრებელი მატჩები:**

21. 06. 2004 ხორვატია-ინგლისი 2:4

უეინ რუნის დუბლის წყალობით, ინგლისელებმა მატჩი შემოატრიალეს და მეოთხედფინალში გავიდნენ.

18. 06. 1996 ჰოლანდია-ინგლისი 1:4

ალან შირერისა და ტედი შერინგემის დუბლით ინგლისმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

11. 11. 1987 იუგოსლავია-ინგლისი 1:4

ამ მოგებით ინგლისელებმა 1988 წელს ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება მიიღეს. აღსანიშნავია, რომ ოთხივე გოლი საწყის 25 წუთში გაიტანა.

ალბათ ბევრისთვის არ არის ცნობილი, რომ ინგლისის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის პლეი ოფში მხოლოდ ერთ გამარჯვებას მიაღწია და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, პენალტების სერიაში. მაშინ ბეჭებზე ესპანეთის ნაკრები „დასცეს“ უგოლო ძირითადი და დამატებითი დროის შემდეგ.

**შემადგენლობა:**

**მეკარეები:** ფრეიზერ ფორსტერი (საუთჰემპტონი), ჯო ჰარტი (მანჩესტერ სიტი), ტომ ჰიტონი (ბარნლი);

**მცველები:** რაიან ბერტრანდი (საუთჰემპტონი), გარი კეჰილი (ჩელსი), ნათან კლაინი (ლივერპული), დენი როუზი (ტოტენჰემი), კრის სმოლინგი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯონ სტოუნსი (ევერტონი), კაილ ვოკერი (ტოტენჰემი);

**ნახევარმცველები:** დელე ალი, ერიკ დაიერი (ორივე ტოტენჰემი), როს ბარკლი (ევერტონი), ჯორდან ჰენდერსონი, ადამ ლალანა, ჯეიმს მილნერი (სამივე ლივერპული), რაჰიმ სტერლინგი (მანჩესტერ სიტი), ჯეკ უილშირი (არსენალი);

**თავდამსხმელები:** ჰარი კეინი (ტოტენჰემი), მარკუს რეშფორდი, უეინ რუნი (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი), დანიელ სტარიჯი (ლივერპული), ჯეიმი ვარდი (ლესტერი);

**მწვრთნელი როი ჰოჯსონი**

### რუსეთი

ასოციაცია შეიქმნა 1912 წელს. მეტსახელი არ აქვს

საუკეთესო ბომბარდირი საბჭოთაკავშირელი ოლეგ ბლოხინია (42), მოქმედი – ალექსანდრ კერჟაკოვი (30).

რეკორდსმენი მატჩების მხრივ ჯერ კიდევ მოქმედი სერგეი იგნაშევიჩი (118).

როდესაც რუსეთში ფეხბურთის ასოციაცია შეიქმნა, ჯერ კიდევ არ იყო საბჭოთა კავშირი, რომლის მემკვიდრედ ისევ რუსეთი დარჩა. საბჭოთა კავშირი პირველი ევროპის ჩემპიონია, შემდეგ კიდევ სამჯერ გავიდა ფინალში, მაგრამ სამჯერვე დამარცხდა. რუსეთის მსგავსი შედეგიანობისთვის არ მიუღწევია, თუმცა, ფინალურ ეტაპზე რეგულარულად თამაშობს. მეტიც, ჯგუფიდან მხოლოდ ერთხელ გავიდა.

ეს 2008 წელს მოხდა, როდესაც რუსებმა ნახევარფინალშიც ითამაშეს.

საბჭოთა კავშირის ჩათვლით, ფინალურ ეტაპზე 30 მატჩი აქვთ ჩატარებული, აქედან 12-12 მოგება და წაგება, ხოლო 6 – ფრე. ბურთების შეფარდება – 36:39.

თანაბარი ბალანსიც საბჭოელთა დამსახურებაა. რუსეთის ნაკრებმა 1992, 1996 და 2004 წლებში 9 მატჩში მხოლოდ ერთი გამარჯვება იზეიმეს.




**დასამახსოვრებელი მატჩები:**

21. 06. 2008 ჰოლანდია-რუსეთი 1:3 (დდ)

ჰოლანდიელი მწვრთნელის, გუს ჰიდინკის სწავლებითა და ანდრეი არშავის გარჯით რუსებმა სენსაციურად მოუგეს ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს.

25. 06. 1988 ჰოლანდია-სსრკ 2:0

საბჭოთა ნაკრებმა ეს მატჩი წააგო, მაგრამ ძალიან ბევრი ახლაც იხსენებს. პირველ რიგში მარკო ვან ბასტენის ფანტასტიკურ გოლსა და იგორ ბელანოვის მიერ აცილებულ პენალტს.

10. 07. 1960 იუგოსლავია-სსრკ 1:2 (დდ)

ვიქტორ პონედელნიკის მიერ დამატებით დროში გატანილმა გოლმა გადაწყვიტა პირველი ევროპის ჩემპიონის ვინაობა. მანამდე საბჭოელთაგან გოლი სლავა მეტრეველმა გაიტანა.

ამ ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ლეგიონერია – გერმანული შალკეს



ფეხბურთელი რომან ნოიშტედტერი. თუმცა, ჰყავს ნატურალიზირებული მეკარე მარინატუ გილერმე, რომელიც ბრაზილიაში დაიბადა და 2007 წლიდან მოსკოვის ლოკომოტივში თამაშობს.

**შემადგენლობა:**

**მეკარეები:** იგორ აკინფეევი (ცსკა), მარინატო გილერმე (ლოკომოტივი), იური ლოდიგინი (ზენიტი);

**მცველები:** ალექსეი ბერეზუცკი, ვასილი ბერეზუცკი, სერგეი იგნაშევიჩი, გეორგი შჩენიკოვი (ყველა ცსკა), დმიტრი კომბაროვი (სპარტაკი), რომან ნოიშტედტერი (შალკე, გერმანია), იგორ სმოლნიკოვი (ზენიტი), რომან შიშკინი (ლოკომოტივი);

**ნახევარმცველები:** ალექსანდრ გოლოვინი, რომან შიროკოვი (ორივე ცსკა), დენის გლუშაკოვი (სპარტაკი), იგორ დენისოვი (დინამო), ოლეგ ივანოვი (ტერეკი), პაველ მამაევი, დმიტრი ტორბინსკი (ორივე კრასნოდარი), ალექსანდრ სამედოვი (ლოკომოტივი), ოლეგ შატოვი (ზენიტი);

**თავდამსხმელები:** არტიომ ძიუბა, ალექსანდრ კოკორინი (ორივე ზენიტი), ფიოდორ სმოლოვი (კრასნოდარი);

**მწვრთნელი ლეონიდ სლუცკი**

### უელსი

ასოციაცია დაარსდა 1876 წელს. მეტსახელი დრაკონები

საუკეთესო ბომბარდირი იენ რაშია (28), მოქმედი – გარეთ ბეილი (19).

ნევილ საუთჰოლს (92), ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული. მოქმედთაგან – კრის ჰანტერს (64).

ნახევარ საუკუნეზე მეტია გასული, რაც უელსის ნაკრებმა დიდ საფეხბურთო ფორუმზე ითამაშა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე დებიუტანტია.

ბოლო დიდი ტურნირი, რომელზეც უელსის ნაკრებმა ითამაშა, 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატია. მაშინ ვალიელები მეოთხედფინალამდეც მივიდნენ. მის შემდეგ გუნდს კარგი დროება არ ედგა, მით უფრო, გუნდს ჰყავდა ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც იენ რაში და რაიან გიგზია. ერთია, გარეთ ბეილისთან ერთად, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპზე 7 გოლი გაიტანა, უელსის ნაკრები უძლიერესთა კოჰორტაშია.

უელსის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე რომ ვერ ხვდებოდა, დიდწილად იუგოსლავიის ნაკრების დამსახურებაა. ჯერ იყო და 1976 წელს ორმატჩიან დუელში დაამარცხა და თავად გაემგზავრა ევროპირველობაზე, შემდეგ 1984 წელს არ გაუშვა საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფიდან. კიდევ ერთხელ გადათამაშებაში მოხვედრილი უელსელები რუსეთის ნაკრებმა დაამუშავა.

**დასამახსოვრებელი მატჩები:**

12. 06. 2015 უელსი-ბელგია 1:0

საკვალიფიკაციო ეტაპზე უელსელები რეიტინგის ლიდერ ბელგიას დაუხვდნენ და 1:0 დაამარცხეს. ცხადია, გოლი ბეილის ანგარიშზეა.

15. 11. 2003 რუსეთი-უელსი 0:0

ეს სწორედ ზემოთ ნახსენები გადათამაშების მატჩია. რუსეთში დიდებული თამაშისა და უგოლოდ დამთავრებული მატჩის შემდეგ ყველას ეგონა, რომ ევროპაზე უელსი მოხვდებოდა, მაგრამ კარდიფში წააგეს.

05. 06. 1991 უელსი-გერმანია 1:0

იენ რაშის ერთადერთი გოლის წყალობით, უელსმა მაშინდელი მსოფლიოს ჩემპიონი დაამარცხა.

ინგლისისა და შოტლანდიის ნაკრებების შემდეგ უელსის ნაკრები მესამეა, რომელმაც საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა. 1876 წლის 25 მარტს შოტლანდიას გაეჯიბრნენ და 0:4 წააგეს. მაშინდელ ნაკრებში თამაშობდნენ 2 ადვოკატი, გამყიდველი, ჯარისკაცი, ქვის მთლელი, მაღაროელი და მეთუნუქე.

**შემადგენლობა:**

**მეკარეები:** უეინ ჰენესი (კრ. პალასი, ინგლისი), დენი უორდი (ლივერპული, ინგლისი), ოუენ ფონ უილიამსი (ინვერნესი, შოტლანდია);

**მცველები:** ეშლი უილიამსი (სუონსი, ინგლისი), ჯეიმს ჩესტერი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), ბენ დეივისი (ტოტენჰემი, ინგლისი), ჯეიმს კოლინსი (ვესტ ჰემი, ინგლისი), კრის განტერი (რედინგი, ინგლისი), ნილ ტეილორი (სუონსი, ინგლისი), ეშლი რიჩარდსი (ფულემი, ინგლისი);

**ნახევარმცველები:** ჯო ლედლი, ჯონათან უილიამსი (ორივე კრ.პალასი, ინგლისი), ჯო ალენი (ლივერპული, ინგლისი), დევიდ ბოგანი (ნოტინგემი, ინგლისი), დევიდ ედვარდსი (ვულვზი, ინგლისი), ჯორჯ უილიამსი (ფულემი, ინგლისი), არონ რემზი (არსენალი, ინგლისი), ენდი კინგი (ლესტერი, ინგლისი);

**თავდამსხმელები:** გარეთ ბეილი (რეალი, ესპანეთი), დევიდ კოტერილი (ბირმინგემი, ინგლისი), ჰელ რობსონ-კანუ (რედინგი, ინგლისი), საიმონ ჩერჩი (მილტონი, ინგლისი), სემ ვოუკსი (ბარნლი, ინგლისი);

**მწვრთნელი კრის კოულმანი**

### სლოვაკეთი

ასოციაცია დაარსდა 1938 წელს.



მეტსახელი არ აქვს

საუკეთესო ბომბარდირი ჯერ კიდევ მოქმედი რობერტ ვიტეკია (36), მაგრამ მწვრთნელის გადაწყვეტილებით ევროპის ჩემპიონატზე არ იქნება.

ყველაზე მეტი მატჩი კი მიროსლავ კარგანმა (107) ჩაატარა, მოქმედიდან საუკეთესო მაჩვენებელი მარეკ ჰამშიკს (83) აქვს.

სლოვაკებმა დიდი როლი ითამაშეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებში, რომელმაც 1976 წლის ევროპის ჩემპიონატი მოიგო. თუმცა, დამოუკიდებლად მუნდიალზე პირველად 2002 წელს გამოჩნდნენ. მეტიც, ევროპის ჩემპიონატზე კი სულაც დებიუტანტები არიან.

1976 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალის მომგებ ჩეხოსლოვაკიის ნაკრების 11 ფეხბურთელიდან 8 სლოვაკი იყო. თუმცა, ამ ქვეყნების გაყოფის შემდეგ ჩეხებმა უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს.

**დასამახსოვრებელი მატჩები:**

09. 10. 2014 სლოვაკეთი-ესპანეთი 2:1

იურაი კუცკამ და მიროსლავ სტოხმა შეწყვიტეს ევროპის ჩემპიონების 36-მატჩიანი წაუგებელი სერია საკვალიფიკაციო მატჩებში.

07. 09. 2010 რუსეთი-სლოვაკეთი 0:1

ისევ მიროსლავ სტოხის გოლი, მაგრამ სლოვაკების დიდებული მატჩი მაინც არ აღმოჩნდა წარმატებული საერთო ჯამში.

20. 06 1976 ჩეხოსლოვაკია-გერმანია 2:2 (5:3პ)

საჩემპიონო მატჩი ყოველთვის სასიამოვნო გასახსენებელია, მაგრამ ამ მატჩში იყო პენალტი, რომელსაც სადღეისოდ ძალიან ბევრი ასრულებს, მაშინ კი ანტონინ პანენკამ პირველად შეასრულა და გულშემატკივრებს ოვაცია მოწყვიტა. დღეს მსგავს პენალტს პანენკას სახელი ჰქვია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 1976 წლის ევროპის ჩემპიონმა იოზეფ ჩაპკოვიჩმა 1969 წელს სლოვაკურ გუნდთან, ბრატისლავის სლოვანთან ერთად თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. მაშინდელი წარმატებაც ჩეხოსლოვაკიას მიეწერა.

**შემადგენლობა:**

**მეკარეები:** მატუშ კოზაჩიკი (პლზენი, ჩეხეთი), იან მუხა (სლოვანი), იან ნოვოტა (რაპიდი, ავსტრია);

**მცველები:** იან დიურიცა (ლოკომოტივი, რუსეთი), ნორბერტ დიემბერი (რომა, იტალია), ტომაშ გუბოჩანი (დინამო, რუსეთი), პეტერ პეკარიკი (ჰერტა, გერმანია), კორნელ სალატა (სლოვანი), მარტინ შკრტელი (ლივერპული, ინგლისი), მილან შკრინიარი (სამპდორია, იტალია), დუშან შვენტო (კიოლნი, გერმანია);

**ნახევარმცველები:** ონდრეი დუდა (ლეგია, პოლონეთი), იან გრეგუში (იაბლონეცი, ჩეხეთი), მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი, იტალია), პატრიკ გროშოვსკი (პლზენი, ჩეხეთი), იურაი კუცკა (მილანი, იტალია), რობერტ მაკი (პაოკ, საბერძნეთი), ვიქტორ პეჩოვსკი (ჟილინა), მიროსლავ სტოხი (ბურსა, თურქეთი);

**თავდამსხმელები:** მიხაილ დიურიში (პლზენი, ჩეხეთი), ადამ ნემეცი (ტილბურგი, ჰოლანდია), სტანისლავ შესტაკი (ფერენცვაროში, უნგრეთი), ვლადიმირ ვაისი (ალ-გარაფა, ყატარი);

**მწვრთნელი იან კოზაკი**

**11 ივნისი** უელსი-სლოვაკეთი;
**11 ივნისი** ინგლისი-რუსეთი;
**15 ივნისი** რუსეთი-სლოვაკეთი;
**16 ივნისი** ინგლისი-უელსი;
**20 ივნისი** რუსეთი-უელსი;
**20 ივნისი** სლოვაკეთი-ინგლისი

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# არაბმა ბიზნესმენმა მანქანის სანომრე ნიშანში 5 მილიონი გადაიხადა



მეწარმემ არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან ხუთი მილიონი დოლარი გადაიხადა საკუთარი ავტომობილისთვის განსაკუთრებულ მანქანის სანომრე ნიშანში.

ნომერი „1" ავტომობილისთვის აუქციონზე გაიყიდა. მისი საწყისი ფასი მის ფინალურ ფასზე 20 ჯერ ნაკლები იყო. ბიზნესმენმა ასეთი ნომრის ფლობის სურვილი იმით ახსნა, რომ სურს ყოველთვის ყველაფერში პირველი იყოს.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის რეკორდული თანხა, რომელიც მანქანის სანომრე ნიშანში იქნა გადახდილი. 2008 წლის დასაწყისში, ასევე არაბთა გაერთიანებული საემიროების მოქალაქემ, ბიზნესმენმა საიდ აბდულ გაფარ კურიმ საქველმოქმედო აუქციონზე მანქანის სარეგისტრაციო იმავე ნომერ „1"-ში დაახლოებით 14,5 მილიონი დოლარი გადაიხადა.

ამ არაბული ქვეყნის საგზაო პოლიცია რეგულარულად მართავს აუქციონს, რომელზეც უჩვეულო სანომრე ნიშნები იყიდება, ხოლო მისგან მიღებული შემოსავალი საქველმოქმედო მიზნებისთვის იხარჯება.

# ბრიტანელმა საკუთარი თავი ჰიტლერს მიამსგავსა



დიდი ბრიტანეთის ქალაქ სოლფორდის მცხოვრებმა ახალი პასპორტი მიიღო, რომელში ჩაბეჭდილი ფოტოსურათის მიხედვით ის ადოლფ ჰიტლერს ჰგავს. სტიუარტ ბოიდმა თავის ახალ პასპორტს სურათი გადაუღო და ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

მამაკაცის თქმით, მან საბუთის შეცვლა მას შემდეგ გადაწყვიტა, როდესაც 50 წელი შეუსრულდა. როდესაც პირადობის დამადასტურებელი საბუთი მიიღო, მან უცნაური მსგავსება შენიშნა, რომელსაც მის სუფთად გაპარსულ სახეზე საულვაშეზე ლაქა იწვევდა. ბრიტანელმა ადგილობრივ საპასპორტო განყოფილებას საჩივრით მიმართა. თანამშრომელმა მას მოუბოდიშა და პასპორტის დაბრუნება მოითხოვა. დაწესებულებაში განაცხადეს, რომ სტიუარტს საბუთს უფასოდ შეუცვლიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ფიურერს" ასეთი პასპორტით სარგებლობა უახლოესი ათი წლის განმავლობაში მოუწევს.

# გერმანულ ქალაქში ენოტმა ელექტრობოძზე მოიკალათა



გერმანიის ქალაქ ბურცენის მცხოვრებლები უკვე სამი დღეა თვალს ადევნებენ, თუ როგორ მოიკალათა ენოტმა ელექტროგადამცემი ხაზის ბოძზე და იქიდან ჩამოსვლას ვერ ახერხებს. გარშემო მდებარე სახლების მცხოვრებთა თქმით, შესაძლოა ენოტმა ელექტრობოძს თავი იმიტომ შეაფარა, რომ ძაღლების დევნისგან თავი დაეღწია. ერთ-ერთმა წყვილმა ასევე განაცხადა, რომ მანამდე ენოტი საკუთარ ეზოში მდგარ ხეზე შენიშნეს და შესაძლოა, სწორედ იქიდან გამოაგდეს მათმა ძაღლებმა.

ცხოველის ჩამოყვანას ადგილობრივი მეხანძრეები ცდილობენ, მაგრამ უშედეგოდ. ადგილობრივი ვეტერინარული ცენტრის სპეციალისტები სინანულს გამოთქვამენ იმის გამო, რომ საქმეში ჩართვას ვერ ახერხებენ, ვინაიდან საქმე გარეულ ცხოველთან აქვთ.

ცხოველის მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ახლა გერმანიაში სიცხეებია და უწყლობისა და საკვების არქონის გარდა, ენოტმა შესაძლოა სითბური დარტყმაც მიიღოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## სპორტი

# ხამესმა ტრავმა მიიღო



კოლუმბიელი ფორვარდისთვის, ხამეს როდრიგესისთვის ეს წელიწადი ნამდვილად უიღბლო გამოდგა. რეალში ხამესმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და წლევანდელ ზაფხულს ის სავარაუდოდ სამეფო გუნდს დატოვებს. გარდა ამისა, როდრიგესი ტრავმებმაც გააწამეს და ამჯერად მან დაზიანება კოპა ამერიკაზე მიიღო.

კოლუმბიამ აშშ-ს ეროვნული ნაკრები დაამარცხა 2:0 და ამ მატჩის მეორე ტაიმში ხამესმა მოედანი დატოვა.

როგორც გაირკვა, მას მხარი აქვს დაზიანებული და შემდეგ თამაშში თავის გუნდს ვერ დაეხმარება. ეს შეხვედრა კი საკმაოდ მნიშვნელოვანია, პრინციპული მეტოქის პარაგვაის წინააღმდეგ.

ჯერჯერობით უცნობია, როდის დაბრუნდება ხამესი მოედანზე.

# ინტერი ჩინურმა ჰოლდინგმა იყიდა

მილანის ინტერს ახალი ინვესტორი ჰყავს ჩინური ჰოლდინგის სახით. ეს ინფორმაცია ინტერის ოფიციალურმა გვერდმა დაადასტურა.

აღნიშნული კომპანია ჩინეთში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ჰოლდინგად ითვლება და მისი წლიური შემოსავალი 50 მილიარდ ევროს აღწევს.

ჩინელებმა ფეხბურთში საკმაოდ დიდი ფული ჩადეს და ევროპაში ბევრ გუნდს სწორედ ჩინურ კომპანიებთან სურთ თანამშრომლობა.

ინტერმა შარშანდელი სეზონი კარგად ჩაატარა, მაგრამ მთავარ მიზანს, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას ვერ მიაღწია.

მომავალ სეზონში გუნდში სერიოზული ცვლილებები იგეგმება და, სავარაუდოდ, ინტერში ბევრ ახალ ფეხბურთელს ვიხილავთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა


# მალამო „მენტორი პირველი"

ჯერ კიდევ ადრე, 1900-იან წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ცნობილი ეროვნული ქართველი მეწარმე ლენტორ ღვანიძე. თბილისში ჰქონდა ბამბის ფაბრიკა, თამბაქოს ფაბრიკა.

ბატონმა ლენტორ ღვანიძემ სამკურნალო მცენარეებისგან დაამზადა უნიკალური, საუკეთესო, ეფექტური მალამოები.

ბაბუის პატივსაცემად დავარქვი მენტორი პირველი, მენტორი ორი, მენტორი სამი, მენტორი ხუთი.

მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადების სამკურნალოდ – ართროზის, რადიკულიტის, სახსრებში მარილების დაგროვების, პოდაგრის, ფრჩხილების სოკოვანი დაავადების. მალამო უნდა წაისვათ დილას და საღამოს, მტკივნეულ ადგილებში.

**დარეკეთ შემდეგ ტელეფონზე: 599-73-48-21.**

## წვერსაპარსი PHILIPS
## 50 ლარი 90-ის ნაცვლად



- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

## სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად



1. ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2. ხმის რეგულირება.
3. ერგება ორივე ყურზე.
4. პატარა, მსუბუქი, შეუმჩნეველი.
5. კომპლექტშია: მოწყობილობა 1 ც რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც. ელემენტები LR41 – ჩასადები ყუთი, ინსტრუქცია.

## შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!
## 50 ლარად 95 ლარის ნაცვლად




ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79. (უკანა მხარე)
579 885 996





# ასტროპროგნოზი
## 7 ივნისისთვის



**ვერძი** – ვარსკვლავები თქვენ მიმართ კვლავ კეთილგანწყობილნი არიან. კარგია, თუ დღეს დაისვენებთ, ეჭვებს მოიცილებთ და სულიერ საზრდოს დაეწაფებით. **კურო** – დაძაბული დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი და დატვირთვა იზრდება. შესაძლოა ერთ რომელიმე კოლეგასთან ურთიერთობა გაგიუარესდეთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობას მიხედეთ. მნიშვნელოვანია სწორი კვება, ფიზიკური ვარჯიში. გაუფრთხილდით ურთიერთობას მეგობრებთან. **კირჩხიბი** – საკმაოდ მშვიდი დღეა, თუმცა წინა დღეების დაძაბულობა მაინც საგრძნობია. ეცადეთ, ემოციები მაქსიმალურად მოთოკოთ. **ლომი** – ვარსკვლავები თქვენ მიმართ კვლავ კეთილგანწყობილნი არიან. კარგია, თუ დღეს დაისვენებთ, ეჭვებს მოიცილებთ და სულიერ საზრდოს დაეწაფებით. **ქალწული** – საინტერესო მოვლენებით დატვირთული დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. ახალი საქმის დასაწყებად მშვენიერი პერიოდია. **სასწორი** – დეპრესია და ნერვული შეტევები შესაძლოა დღეს განსაკუთრებით მოგეძალოთ. თითქმის ყველაფერში იმედი გიცრუვდებათ. **მორიელი** – ბევრი რამ იცვლება. თქვენი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. საქმიან პარტნიორებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გეძაბებათ. **მშვილდოსანი** – მეტი ყურადღება გამოიჩინეთ მეგობრებისა და ნაცნობებისადმი. არ არის გამორიცხული კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც შესაძლოა გაუთვალისწინებელი შედეგით დასრულდეს. თავი შეიკავეთ ემოციების გამოვლენისაგან. **თხის რქა** – საინტერესო მოვლენებით დატვირთული დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. ახალი საქმის დასაწყებად მშვენიერი პერიოდია. **მერწყული** – ფინანსური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. დღის მეორე ნახევარში განმარტოებას გირჩევთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი დღეა ახალი გეგმების შესამუშავებლად, ასევე მივლინებებისა და მოგზაურობისათვის.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი



**შვეულად:** 1. ნიადაგის ღრმად დამუშავება; 2. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი, კინორეჟისორი მამაკაცი; 3. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 4. ჩაის ფოთლებსა და ყავის მარცვლებში არსებული ალკალოიდი; 5. შენობის ფასადის მოპირკეთება უხეშად დამუშავებული ზედაპირის მქონე ქვებით; 10. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზესტაფონის მახლობლად; 11. უცხოელების, ყოველივე უცხოურის სიძულვილი; 12. გრძელ დისტანციაზე მორბენალი მძლეოსანი; 15. კუნძულოვანი სახელმწიფო აზიაში; 16. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 17. მონასტერი ქსნის ხეობაში; 20. ველორიქშა ინდოეთში.

**თარაზულად:** 6. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ეგვიპტეში; 7. ფიჭიანი თაფლი; 8. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 9. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 13. რძის პროდუქტი; 14. სრულყოფილი ფორმების, სილამაზის, მშვენიერების მოტრფიალე ადამიანი; 18. ფასიანი ქაღალდების, აქციებისგან მიღებული თანხა; 19. ფრანგი მწერალი; 21. დაბალი ხარისხის ალმასი; 22. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 23. ქართველი თეატრალური მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 24. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. პარფიუმერია; 7. ავენიდა; 8. ლეიცინი; 9. ბარაქა; 13. ტირი; 14. ნომერი; 18. სკიპიდარი; 19. კაირო; 21. კამეა; 22. გრიზლი; 23. მიკროპილე; 24. ფრიტიური.

**შვეულად:** 1. ვანადატი; 2. დისტიქი; 3. კიური; 4. ოვარინი; 5. კიმბალი; 10. ლიტურგია; 11. მორმონიზმი; 12. კროკეტი; 15. პრიმატები; 16. თეოდორ; 17. ნარკოზი; 20. ბანბუ.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ენოტი; 2. სუ; 3. პერფომანსი; 4. ნარგილე; 5. პაროდია; 6. კი; 7. პერუ; 8. ოტომანი; 9. იერარქია; 10. პოლკი; 11. ნიანგი; 12. იამამოტო; 13. ჩიჩოლინა; 14. მის; 15. პიარი; 16. აკვამარინი; 17. კაცი; 18. რეა; 19. ლია; 20. ნაინ; 21. პლაკატი; 22. ქობალია; 23. პლისე; 24. ალეკ; 25. არა; 26. პარა; 27. იო; 28. ოყა; 29. პა; 30. აბისინია; 31. ტორონტო; 32. სოია; 33. ეტი.

**სურათებზე:** ევა მენდესი; რობერტო მანჩინი.

## ნინა სუბლატმა იმიჯი შეიცვალა



„იქს ფაქტორის“ მენტორმა ნინა სუბლატმა სოფო ნიჟარაძეს მიბაძა და იმიჯი შეიცვალა. მომღერალმა, რომელსაც ძალიან უყვარს სიახლეები, თმა მუქ-წითლად შეიღება და გულშემატკივრების აზრის გასაგებად ფოტოები ინტერნეტში განათავსა.

ნინას ახალ იმიჯს და ფოტოებს სოციალურ ქსელში უამრავი მოწონება და დადებითი კომენტარი აქვს.

მუდმივია ნინა სუბლატის მუქ-წითელი თმა თუ ეს მხოლოდ ერთდღიანი გართობაა, მომღერალს არ დაუკონკრეტებია.

## ალეკო მალხაზიშვილი ბიჭის მამა გახდა



იუმორისტი ალეკო მალხაზიშვილი ბიჭის მამა გახდა. სამი გოგოს შემდეგ, „კომედი შოუს“ ხელმძღვანელს ნანატრი ბიჭი შეეძინა.

ალეკოსთვის და მისი მეუღლისთვის ეს მესამე შვილია. იუმორისტის მეორენახევარს ერთი გოგონა პირველი ქორწინებიდან ჰყავს. მშობლებმა პატარას მამის სახელი, ალექსანდრე დაარქვეს. ახალშობილის ფოტოები ალეკო მალხაზიშვილმა ინტერნეტში გამოაქვეყნა. ფოტოებს ბევრი მილოცვა და საუკეთესო სურვილები აქვს. ალეკოს მეგობრები წერენ, რომ პატარა ალექსანდრე ზედგამოჭრილი მამაა.

## 90 წლის ფერმწერმა გამოფენა მოაწყო



90 წლის უხუცესმა ფარმწერმა ლევან ცუცქირიძემ პერსონალური გამოფენა მოაწყო. ხელოვანმა, რომელმაც გასული საუკუნის 80-იან წლებში სიონის ტაძარი მოხატა, დამთვალიერებელს 40-მდე ნამუშევარი შესთავაზა.

ხელოვნების სასახლეში ქართველი ფერმწერის, გრაფიკოსის, ქართული მონუმენტური ფერწერის ოსტატის, ანდერსენ-ნექსეს სახელობის საერთაშორისო დიპლომის მფლობელისა და საქართველოს დამსახურებული მხატვრის ლევან ცუცქირიძის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა-გაყიდვა გაიხსნა.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია მხატვრის 40-მდე ნამუშევარი, რომელთა უმეტესობაც „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკას ეძღვნება. აღსანიშნავია, რომ გამოფენის გახსნასთან ერთად მოხდება მხატვრის მიერ ილუსტრირებული წიგნის „ვეფხისტყაოსანი“ პრეზენტაცია.

## „მარუნ 5“-მა და „მგზავრებმა“ ქორწილში იმღერეს



„მარუნ 5“-მა და „მგზავრებმა“ რუსეთში გამართულ ქორწილში იმღერეს. რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენის, კომპანია „ტაშირის“ მფლობელის, მილიარდერ სამველ კარაპეტიანის ვაჟის ქორწილში რუსული ესტრადის ვარსკვლავებთან ერთად ამერიკელი და ქართველი ვარსკვლავებიც მიიწვიეს.

მდიდრული ქორწილი ვიდეო-მილოცვით გაიხსნა, რომელიც ერთ-ერთი ცნობილი ფილმის სტილში დაიგეგმა. სტუმართა შორის იყო სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარქისიანიც.

23 წლის სარქის კარაპეტიანი 25 წლის ქართველ სალომე კინწურაშვილზე დაქორწინდა. სალომე რუსეთში ცხოვრობს და ერთ-ერთ ყველაზე მოდურ გოგოდ ითვლება.

მათ ზღაპრულ ქორწილს ვერა ბრეჟნევა, ანდრეი მალახოვი და ტამია გევორქიანი უძღვებოდნენ. მიწვეულ მომღერალთა შორის იყვნენ სოფია როტარუ, ვალერი მელაძე, ტატა სიმონიანი, ალა პუგაჩოვა, ფილიპ კირკოროვი, ტიმატი, დიმა ბილანი, „ა სტუდიო“, გრიგორი ლეპსი. საღამოს ყველაზე საპატიო სტუმარი ამერიკული ჯგუფი „მარუნ 5“ აღმოჩნდა, რომელმაც საქართველოში ჩამოსვლამდე რუსეთში მილიარდერის შვილის ქორწილში იმღერა.

რაც შეეხება ჯგუფს „მგზავრები“, მათ ქორწილში საკმაოდ ხანგრძლივი პროგრამა წარმოადგინეს და ყველა თავისი ჰიტი შეასრულეს.

ახლად დაქორწინებულებმა კი ქორწილში ჯერ სომხური, შემდეგ კი ქართული ცეკვა შეასრულეს.

## ქართულ ფილმს კარლოვი ვარის კინოფესტივალზე აჩვენებენ



რუსუდან გლურჯიძის ფილმს „სხვისი სახლი“ კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში აჩვენებენ.

ფილმი ხანმოკლე, მაგრამ გამანადგურებელ ომში ფიზიკურად გადარჩენილი ორი ოჯახის შესახებ მოგვითხრობს. ისინი იკავებენ ნაჩქარევად გამოთავისუფლებულ სახლებს, მაგრამ მშვიდობიან გარემოში ახალი ცხოვრების დაწყება არ შეუძლიათ. ომი ყოველდღიურ ცხოვრებაში გრძელდება.

„სხვისი სახლი“ ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია, რომლის მსოფლიო პრემიერაც სწორედ კარლოვი ვარში შედგება.

ფილმი საქართველოს, რუსეთის, საფრანგეთის და ხორვატიის კოპროდუქციაა. მთავარ როლებს სალომე დემურია, ზურაბ მაღალაშვილი, ია სუხიტაშვილი, ოლგა დიხოვიჩნაია, ეკატერინე ჯაფარიძე და საბინა ახმედოვა ასრულებენ.

კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალი 1-9 ივლისს ჩატარდება. იგი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წამყვანი კინოფესტივალია, რომელიც ჩეხეთის ქალაქ კარლოვი ვარში 1946 წლიდან ტარდება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ლუდა, ალიკა, მაია, შვილიშვილები ლევანი, გიორგი, ნინო, დათო, რუსიკო, შამშე, შვილთაშვილები, რძლები ნინო ლორთქიფანიძე, მარიკა ჩიკაშუა, მძახალი ლია ლორთქიფანიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნუნუ დეისაძე**

პანაშვიდი: 7, 8 ივნისს, 18 საათზე, თბილისი, კრწანისის 3. გორგასლის 61.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 9 ივნისს, 15 საათზე, ვერის სასაფლაოს ეკლესიიდან.

---

შვილი მაია ბოკუჩავა, შვილიშვილები რუსიკო, შამშე, შვილთაშვილები ანასტასია და ნატალია დიდი მწუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი დედისა და ბებიის

**ნუნუ დეისაძის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 7, 8 ივნისს, 18 საათზე, თბილისი, კრწანისის 3. გორგასლის 61.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 9 ივნისს, 15 საათზე, ვერის სასაფლაოს ეკლესიიდან.

---

ღრმა სამძიმარს ვუცხადებთ მაია ბოკუჩავას უაღრესად კეთილშობილი, სათნო და დიდებული ქალბატონის

**ნუნუ დეისაძის**

გარდაცვალების გამო.

უფალმა ნათელში გვიმყოფოს მეგობრის აღმზრდელის სული, ილოცოს მისთვის ზეციური სამყაროდან.

*მეგობრების სახელით, მ.ხარატიშვილი, დ.საყვარელიძე, ნ.იაკობაშვილი, მ.ხვედელიანი, ნ.წერეთელი, თ.წერეთელი, დ.გვასალია, მ.გოგლიძე, მ.იაშვილი, ნ.ჭინჭარაული, მ.ინოზემცევა*

---



შვილები ზაირა-მართა, ნანული-ანა, გოდერძი, სიძე რევაზ ჩემინავა, რძალი მანანა ყოლბაია, შვილიშვილები ბადრი, თეკო, ირაკლი, ნათია, ნინო, ალექსანდრე, რძლები ეკატერინე, თეონა, სიძეები ზურაბი, გიორგი იუწყებიან

**ალექსანდრე (ალიოშა) კვეკვესკირის**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: 9 ივნისს, გალში, დიმიტროვის №1.

---



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ფინანსთა მინისტრის

**თამაზ კვარაცხელიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---



გალის რაიონი, აფხაზეთი, მთლიანად საქართველო უმძიმეს ტრაგედიად აღიქვამს ულალატო მეგობრის, ფიზიკურის, სულიერისა და ინტელიგენტის ერთიანი ჰარმონიის უმშვენიერესი ქმნილების, სპარტანული და სამასი არაგველის მებრძოლთა სულის მატარებლის, ბატონი

**თამაზ გრიგორის ძე ხუფენიას**

გარდაცვალებას.

მარადიულ გზაზე შემდგარი მისი უწმინდესი სული ღმერთმა ნათელში ამყოფოს აწ და მარადის, ამინ!

*პედაგოგის გულისტკივილით, რაჟდენ ქარდავა*

---

აფხაზეთის ნაღები ინტელიგენცია, გალის რაიონის განათლების განყოფილებისა და კოხორის საშუალო სკოლის პედკოლექტივი, უახლოესი ნათესავ-მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**თამაზ ხუფენიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

*მეგობრებისა და კოლექტივის სახელით, ნოდარ ზარანდია, ბესო ქანთარია, ოთარ ეზუგბაია, მურთაზ ქარდავა, რევაზ ჯგერენაია, ზურაბ ჭანტურია, ტუმზა გვაგვალია*

---

მეზობლები უდიდესი გულისტკივილით იუწყებიან ნათესავ-მეგობარ-მეზობლებში გამორჩეული კოლორიტული პიროვნების

**თამაზ ხუფენიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის შვილებს.

*მეზობლების სახელით, დალი ხუნჯგურუა, ლუიზა შენგელია, იამზე ყოლბაია, ჯემალ ქეცბაია*

---

ვიზიარებთ ბატონი ბონდო ჩქოტუას მწუხარებას დედით ობოლი შვილიშვილების საყვარელი მამის

**ავთანდილ ეზუგბაიას**

გარდაცვალების გამო.

*დიდი გულისტკივილით, ნოდარ ზარანდია, ემირ ვარდანია, რაჟდენ ქარდავა*

---

ვიზიარებთ ოთარ და კარლო ეზუგბაიების მწუხარებას ბედგაუხარელი საყვარელი ძმის

**ავთანდილ ტერენტის ძე ეზუგბაიას**

გარდაცვალების გამო.

ნოდარ ზარანდია, რაჟდენ ქარდავა

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

### სამშაბათი 7 ივნისი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 00.40 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" 12.30 "გურმანია" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "დღე მუზეუმში" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.40 "ცხოვრება ციფრებში" 21.10 "რეალური სივრცე" 22.00 დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხენი" 22.35 **ფეხბურთი**. ამხანაგური მატჩი:**ესპანეთი - საქართველო**. 00.50 მხ/ფ "**მოკრივე**" 03.00 "პირადი ექიმი"

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10 "აფხაზეთი" 11.00 დ/ფ "დაოს გზა ანუ უკვდავების ხელოვნება" 13.00 დ/ფ "ალენ ბაშუნგი" 14.00 დ/ფ "ვატიკანის ნამდვილი ძალაუფლება" 16.00 დ/ფ "ვატიკანის ნამდვილი ძალაუფლება" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 22.40 **რაგბი** – მსოფლიო ჩემპიონატი: **ახალი ზელანდია – საქართველო** (პ/რ მანჩესტერიდან) 00.40 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.45 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ბამბის ველი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 ცოდნა ფულია 23.20 გრიფით საიდუმლო 00.00 სერ. "**ვენდეტა**" 11 სერ. 01.15 ილო ბეროშვილის შოუ 02.15 მხ/ფ "**და აი" ისიც**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ."**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 20.50 ლოტო 21.00 კურიერი 22.00 არჩევანი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "ვარსკვლავური ომები 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00 სერ. "**ძვლები**" 15.00 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30, 22.30 სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" 0.00 სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" 1.00 მხ/ფ "**შიშის ტბა 2**"

06.10 სპექტაკლი "კავკასიური ცარცის წრე" III, IV მოქ. 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი 10.40 საქართველოს ქალაქები 11.10 დ/ფ "ოსტატები" 11.30 ერთი წვეთი 11.40 საეკლესიო აღმშენებლობა 12.10 მხ/ფ "**აკაკის აკვანი**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "მონსტერა დელიციონი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.20 კონცერტი 17.15 მგზავრები წუთისოფლისა 17.45 სიბრძნისმეტყველება 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მოკ. მხ/ფ "**ადგილის დედა**" 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.30 ერთსულოვნების სალონი 01.00 "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.00 "კონტაქტი" 10.05 სერ. "**ტატიანა**" 11.05 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 15.30, 1.00 სერ. **მფარველი ანგელოზი**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.00 "კონტაქტი" 16.05, 17.05, 2.30 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. **ფართოა მდინარე**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "**შულერი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


7 ივნისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.1424

ევრო — 2.3866

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0878

100 რუსული რუბლი — 3.1997

## ამინდის პროგნოზი 7 ივნისისთვის







## 7 ივნისიდან სამკურნალო მცენარეები

ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი

## ემბერ ჰერდმა დეპის მეგობარსაც უჩივლა



ამერიკელმა მსახიობმა ემბერ ჰერდმა სასამართლოს სარჩელით კომიკოს დაგ სტენჰოუპის, ჯონი დეპის მეგობრის წინააღმდეგ მიმართა.

აღნიშნული სარჩელის მიზეზი გახდა სტენჰოუპის სტატია, რომელიც მან ახლახან ერთ-ერთ გამოცემაში გამოაქვეყნა და რომელშიც ის ამტკიცებს, რომ ჰერდი დეპს აშანტაჟებს.

მსახიობი ამ მტკიცებულებას ცილისწამებას უწოდებს. როგორც სარჩელშია ნათქვამი, ისინი იმისთვის იქნა მოგონილი, რომ ხალხის ყურადღება იმ ჭეშმარიტ ფაქტებს მოარიდონ, რომლის გამოც მოხდა მსახიობების დაშორება.

ჰერდის წარმომადგენლის ჩარლზ ჯეი ჰარდერის თქმით, მას სურს, რომ სარჩელის წყალობით მაქსიმალურად შესაძლო თანხა მიიღოს, რის შემდეგაც ის აპირებს, მიღებული თანხა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ფონდს გადასცეს.

## ჰიუ გრანტმა მომხიბვლელობა და ფიზიკური ფორმა დაკარგა



ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ თანამემამულე მსახიობ ჰიუ გრანტს სპორტული ფორმის და ადრინდელი მომხიბვლელობის დაკარგვაში დასდო ბრალი. რეპორტაჟს, რომელიც გამოცემამ მიუძღვნა იმ ფაქტს, რომ მსახიობი მოუვლელი და მოშვებული გახდა, თან ერთვის ფოტოსურათები, რომელიც გრანტის ესპანეთის ქალაქ მარბელშია გადაღებული.

გრანტს სახეზე უამრავი ნაოჭი გაუჩნდა, ხოლო მისი მკერდი ქალის მკერდს დაემსგავსა. 55 წლის მსახიობის ფიგურა გამოცემამ მის ადრინდელ ფიგურას შესაბამისი ფოტოსურათის დახმარებით შეადარა.

– როგორც ჩანს, გრანტს სპორტულ დარბაზში სიარულის დრო აღარ აქვს, – აღნიშნა გამოცემის ჟურნალისტმა.

გამოცემის ფეისბუქში განთავსებულ ანალოგიური ფოტოსურათების კომენტარებში ინტერნეტ-მომხმარებლების უმრავლესობა მსახიობის გარეგნობის კრიტიკას არ ეთანხმება. მკითხველებმა გამოცემას მსახიობის ასაკი შეახსენეს და ურჩიეს, მას თავი დაანებონ.

## მაიმუნმა საიუველირო მაღაზია გაქურდა



ინდოეთში მაიმუნმა საიუველირო მაღაზია გაქურდა. ცხოველმა შენობაში შეაღწია, სალაროდან ათი ათასი რუპია ამოიღო და გაიქცა.

მაღაზიაში დაყენებულმა სათვალთვალო კამერებმა მომხდარი დააფიქსირეს. ვიდეოჩანაწერში ჩანს, როგორ ცდილობს მაღაზიის თანამშრომელი, კართან მჯდომი მაიმუნი დაიყოლიოს, რომ იქაურობას გაეცალოს და საკვებსაც სთავაზობს.

იმის ნაცვლად, რომ საჭმელი გამოერთმია, მაიმუნი შიგნით შეიჭრა და პირდაპირ სალაროს მიაშურა. მან სწრაფად ამოიღო ფული სალაროდან და ასევე სწრაფად დატოვა მაღაზია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## იუმორი



ქალი კურორტზე დასასვენებლად წასასვლელად ემზადება, ჩანთაში ალაგებს კაბებს, ბლუზებს, მოდურ შარვლებს. ქმარი უყურებს და გაიფიქრებს:

„აჰა, ქალბატონო, დროის გასატარებლად ემზადები, არა?!“

ცოლი სხვა ოთახში რომ გავიდა, ქმარმა ჩანთიდან ყველაფერი ამოყარა და შიგ თავისი ძველი ქურთუკი ჩადო.

რამდენიმე დღის შემდეგ ცოლისგან გზავნილი მიიღო:

– ყველა ნორმალური ქალი კინოში, რესტორანში, ცეკვებზე დადის, მე კი შენი ქურთუკის წყალობით ბუჩქებში მიმათრევენ...

●●●

ძილის წინ ქმარმა ცოლი თავისკენ მიიზიდა. ცოლი ეუბნება:

– არა, არა, ბავშვს ჯერ არ სძინავს.

– ახლავე გავარკვევ, – უპასუხა ქმარმა და დაიძახა:

– შვილო, სანდრო, წყალი მომიტანე, რა!

სიჩუმეა.

ცოლ-ქმარი ერთმანეთის ალერსით დაკავდა და, როდესაც ყველაფერი დამთავრდა, საწოლთან მდგარი ბავშვის ხმა მოესმათ:

– კიდევ დიდხანს ვიდგე წყლით სავსე ჭიქით ხელში?

●●●

კაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, მესამე დღეა, გავიღვიძებ თუ არა, მებერება ლოყები, სახე მიწითლდება, შუბლზე ძარღვები მებურცება. რა მჭირს?

– შარვალი გაიხადეთ... ნუ გეშინიათ, მხოლოდ რეზინი გამოუცვალეთ ტრუსიკს, ძალიან მოკლეა.

●●●

ორი მეგობარი ბარში შევიდა. ერთი მეორეს ეკითხება:

– რას დალევ?

– გააჩნია.

– რას გააჩნია?

– შენ იხდი თუ მე.

●●●

მამა შვილს უყვირის:

– მართლა ფეხმძიმედ ხარ, შე საზიზღარო?

– ჰო, მამა... ექიმმა მითხრა.

– ვისგან, შე კახპა?!

– ეგ არ მითხრა ექიმმა.

●●●

ოსები ზღვაზე არიან. ერთი მეორეს ეუბნება:

– ნახე მკვდალი თოლია?

– აბა, სადაა? მეორე ცაში დაიწყებს ყურებას

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## 10 ივნისიდან დიდი ექვთიმე

ეს წიგნი დიდი ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების სრულყოფილი წარმოჩენის ცდაა.

მასში შესულია 32 მეცნიერისა და მწერლის სტატიები დიდი ექვთიმეს შესახებ.

წიგნში რეალურადაა წარმოჩენილი ქვეყნიდან გატანილი განძის საქართველოში დაბრუნების დეტალები და დაბრუნებული განძის ერთი ნაწილის ილუსტრაციები.

წიგნი მთლიანად ეძღვნება წმინდა ექვთიმე ღმერთისკაცის განვლილ მოწამეობრივ გზას განსაწმენდლიდან წმინდანობამდე.

მაგარი ყდა, 725 გვერდი




ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი

## ვარდის ტრანსფერი არსენალში ჯერ გადაწყვეტილი არ არის



ჯეიმი ვარდის არსენალში გადასვლაზე ბევრს საუბრობენ, მაგრამ თვითონ ფეხბურთელს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია.

ვარდი უკვე გუშინ არსენალის ფეხბურთელი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ჯეიმი ინგლისის ნაკრებთან ერთად საფრანგეთში იმყოფება, სადაც შაბათს მისი გუნდი პირველ შეხვედრას გამართავს.

არსენალი ვარდის წელიწადში 6 მილიონ ფუნტი სტერლინგს სთავაზობს და ლესტერის ფეხბურთელთან 4 წლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. ვარდი გადაწყვეტილებას სავარაუდოდ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მიიღებს.

არსენალს ლესტერის მეორე ლიდერის რიან მარეზის გადაბირებაც სურს.

## მორატა შეიძლება ჩელსის ფეხბურთელი გახდეს



იუვენტუსის ესპანელი ფორვარდი ალვარო მორატა, შესაძლოა, მომავალი წლიდან ჩელსიში ვიხილოთ.

მორატა ამჟამად იუვენტუსის ღირსებას იცავს თუმცა მასზე უფლებები კვლავ რეალს ეკუთვნის.

ალვარომ ძალიან კარგი სეზონი ჩაატარა, ამიტომ მისი შეძენით ბევრი გუნდია დაინტერესებული. ყველაზე მეტად ინგლისური გუნდები აქტიურობენ, მაგალითად, ლონდონის არსენალი და ჩელსი. თვითონ მორატა ყველა შესაძლო ვარიანტს განიხილავს და არც რეალში დაბრუნებას გამორიცხავს.

მორატა იუვენტუსს 2014 წლის ზაფხულში შეუერთდა.

## თემურ ქეცბაია ათენის აეკის მწვრთნელი გახდა



ქართველი სპეციალისტი თემურ ქეცბაია მუშაობას საბერძნეთში, ათენის აეკში გააგრძელებს. ამის შესახებ ცნობილი რამდენიმე დღის წინ გახდა.

აეკთან ქეცბაიამ ორ წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. აღსანიშნავია, რომ, როგორც ფეხბურთელი, ქეცბაია აეკში 3 წლის განმავლობაში თამაშობდა. სწორედ ბერძნული კლუბიდან გადავიდა ის ნიუკასლში.

ბოლო პერიოდში ქეცბაია კვიპროსის აპოელის მწვრთნელი იყო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მისი გუნდი ქვეყნის ჩემპიონი გახდა, მან თანამდებობა მაინც დატოვა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 2. საკვებ პროდუქტებზე გაჩენილი სოკოს ქსელი; 3. საგნის ზუსტი განსაზღვრა, მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით; 4. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 5. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში; 8. რბილსაჯდომიანი ტაბურეტი; 9. მცირეოდენი, წვრილმანი განსხვავება რამეში; 10. ანსამბლ „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 12. ციხე-ქალაქი ასპინძის რაიონში; 13. გამკილავი შინაარსის სახელდახელოდ თქმული ლექსი; 15. სამრეწველო ცენტრებისა და დიდი ქალაქების ცაზე დაგროვილი სქელი, შავი ნისლი.

**თარაზულად:** 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 6. სულიერი დაძაბუნებით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 7. მწერი განვითარების ერთ-ერთ სტადიაში; 10. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 11. შემოდგომაზე ნათესი ხორბალი; 13. სისხლისა და ლიმფისგან დამზადებული, ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 14. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ერაყის ნავსადგური; 16. მუზეუმი ლოს-ანჟელესში; 17. ერთი ან რამდენიმე ბგერის მოკვეცა სიტყვის ბოლოში; 18. ძვლების ანთება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

